აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 103-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№39 (25.063) ხუთშაბათი, 13 - 19 აპრილი, 2023 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია წვიმა, დასავლეთის მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 10-15, შიდამთიან რაიონებში - 7-12, მაღალ მთაში - 5-10 გრადუსი სითბო. ზღვის წყლის ტემპერატურა 12 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 756 მილიმეტრი.

ხვალ ამინდი შენარჩუნდება, მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

კრიალოსა N იუსი

ოპოზიციამ რეგლამენტისგან შორს ყოფნით და არცოდნით, ერთი მხრივ, თავი ჩაიგდო სასაცილო მდგომარეობაში, მეორე მხრივ, უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო პარლამენტი - ფრაქცია „ქართულმა ოცნებამ" მომმართა, რომ არ დაესწრებიან სხდომას, რიგგარეშე სხდომა არ გაიმართება, - განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა. ორშაბათს პარლამენტის 46-მა დეპუტატმა პრეზიდენტს მიმართა საგამოძიებო კომისიის შექმნის მიზნით რიგგარეშე სხდომის ჩანიშვნასთან დაკავშირებით, თუმცა მას შემდეგ, რაც ორი დეპუტატი ქვეყნიდან გაემგზავრა, მათ მიმართეს პრეზიდენტს, აღარ ჩაენიშნათ რიგგარეშე სხდომა ხმების არასაკმარისი რაოდენობის გამო.

* * *

პირის ოლიგარქად ცნობის უფლებამოსილება საქართველოს მთავრობიდან ანტიკორუფციულ ბიუროს გადაეცემა, - განაცხადა პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ანრი ოხანაშვილმა კომიტეტის სხდომაზე, სადაც „დეოლიგარქიზაციის შესახებ" კანონის პროექტის კორექტირებული ვერსია განიხილეს. ოხანაშვილის თქმით, ვენეციის კომისიამ გასცა რეკომენდაცია, რომ პირის ოლიგარქად მიჩნევის პროცესი პოლიტიზებული არ უნდა იყოს, რაც გაითვალისწინეს. ამასთან, ანტიკორუფციული ბიუროს მიერ ოლიგარქად ცნობილ პირებს პოლიტიკური პარტიების და დემონსტარციების დაფინანსება აღარ აეკრძალებათ. ერთადერთი აკრძალვა პრივატიზაციის პროცესში მათ მონაწილეობას შეეხება.

* * *

პატიმრობაში მყოფ მიხეილ სააკაშვილის საქმეზე სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოში საჩივარი გაიგზავნა. ადვოკატებს იმედი აქვთ, რომ სასამართლო დაადგენს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვევას. სტრასბურგის სასამართლოში სარჩელის გაგზავნასთან დაკავშირებით ცნობილი იყო წინსწრებით, როცა სააპელაციო სასამართლომ, საქალაქო სასამართლოს მსგავსად, არ გაიზიარა ადვოკატების პოზიცია და არ გადაუვადა მიხეილ სააკაშვილს სასჯელი.

* * *

ორმაგი სტანდარტებით მორალური უპირატესობა არ მოიპოვება, - აცხადებს „ნაციონალური მოძრაობის" ყოფილი თავმჯდომარე ნიკა მელია. იგი BBC-ის საგამოძიებო სტატიას ეხმაურება, რომელიც საპენსიო ასაკის ადამიანების დანაზოგის თაღლითური გზით მითვისებას ეძღვნება და რომელშიც საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით კეზერაშვილი ერთ-ერთ მთავარ ორგანიზატორად არის მოხსენიებული. „ორმაგი სტანდარტებით მორალური უპირატესობა არ მოიპოვება", - წერს მელია. თავად კეზერაშვილი აცხადებს, რომ არასდროს ჰქონია ე.წ. ქოლცენტრების საკითხთან.

მოამზადა
ია შველიძემ

გიდოლოცავთ ბოლოდ ბიბ ბაბ ყიბ ბ ბ ბ ბ ბ ბ ! ! !

ბათუმი განსაკუთრებულად ემზადება 2023 წლის საზღვაო სეზონისთვის

ნანა აბულაძე 577 20 35 90

- შთამბეჭდავია 2022 წლის დინამიკა, დაახლოებით 4 მილიონამდე ვიზიტი განხორციელდა აჭარაში და მოლოდინი გვაქვს, რომ ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო გაიზრდება, - აღნიშნული განცხადება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიუვაძემ გააკეთა, რომელიც ბათუმის მერიაში ტურისტული სეზონის სამზადისთან და მიმდინარე პროექტების ეფექტიანად განხორციელებასთან დაკავშირებით, სამუშაო შეხვედრას დაესწრო. შეხვედრაზე, რომელსაც ასევე ესწრებოდნენ ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი და მერიის სხვადასხვა სამსახურის ხელმძღვანელები, ზაფხულის ტურისტული სეზონისთვის მოსამზადებელ სამუშაოებზე გაამახვილეს ყურადღება, ასევე, ბათუმში დაგეგმილ და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების დროულ განხორციელებაზე იმსჯელეს. თორნიკე რიუვაძემ რეგიონში არსებულ ყველა რგოლს, ყველა უწყებას, აქტიური და კოორდინირებული მუშაობისკენ მოუწოდა და დასძინა, რომ მნიშვნელოვანია მიმდინარე წელი, ანუ ტურისტული სეზონი, როგორც ადგილობრივებისთვის, ასევე, რეგიონში ჩამოსული ტურისტებისთვის, განსაკუთრებით შთამბეჭდავი და დასამახსოვრებელი იყოს.

„წელს საერთაშორისო მიმართულებით ბევრი სიახლე გვექნება, არაერთი მასშტაბური ღონისძიება გაიმართება. ყველა წინაპირობა გვაქვს იმისთვის, რომ ტურისტულ სეზონზე ვიზიტიორების რაოდენობა იყოს რეკორდული. მზად ვართ, მაქსიმალურად მხარი დავუჭიროთ და დავეხმაროთ მუნიციპალიტეტს რიგი საკითხების გადაჭრაში. უახლოესი კვირების განმავლობაში განსაკუთრებული კოორდინირებულობით მოგვიწევს მუშაობა, რათა, პირველ რიგში, ბათუმელებისათვის, ასევე, სტუმრებისათვის, ქალაქი იყოს მომზადებული. ყველა მიმართულებით ძალიან ადრე უნდა დავიჭიროთ თადარიგი, რათა ჩავეტიოთ განსაზღვრულ ვადებსა და გრაფიკში. მნიშვნელოვანი წარმატებები გვაქვს ყველა მიმართულებით, თუმცა პარალელურად გამოწვევებიც არსებობს, ბევრი საქმეა გასაკეთებელი", - განაცხადა თორნიკე რიუვაძემ.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარის თქმით, ბათუმი განსაკუთრებულად ემზადება 2023 წლის საზღვაო სეზონის მასპინძლობისთვის, მისივე ინფორმაციით, წელს, ქალაქი ისეთ მნიშვნელოვან საერთაშორისო ღონისძიებებს უმასპინძლებს, როგორებიცაა: World Travel wards-ის დაჯილდოების ევროპის გალა ცერემონია, ევროპის სოფლად ტურიზმის გენერალური ასამბლეა, 21 წლამდე ნაკრებთა ევროპის ჩემპიონატი, სულ მალე კი გაიმართება „ბათუმობა 2023".

შეხვედრაზე გაჟღერებული ინფორმაციის თანახმად, მზარდია აჭარაში ტურიზმის აღდგენის დინამიკა, რაც გამოიხატება იმაში, რომ 2023 წელს ტურისტული ვიზიტები 3,9 მლნ-ს აღემატება. პარალელურად მიმდინარეობს მუშაობა ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობის, მსოფლიო მასშტაბით რეგიონის პოპულარიზაციისთვის.

ბათუმის მერის არჩილ ჩიქოვანის განცხადებით, აქვთ მოლოდინი, რომ წლევანდელი ტურისტული სეზონი მეტად წარმატებული და ნაყოფიერი იქნება, ვიდრე გასული წლის.

- ტურიზმი და საერთაშორისო ვიზიტიორები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ბათუმის სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებასა და ქალაქის ტურიზმის ინდუსტრიაში. ბათუმი ფოკუსირებულია ვიზიტიორებისთვის მაღალი ხარისხის სერვისის მიწოდებაზე. წელს განსაკუთრებულად ვემზადებით კულტურული მიმართულებითაც, დაგეგმილია, როგორც საერთაშორისო, ასევე, ადგილობრივი ფესტივალები და ღონისძიებები, რომლებიც გვიან შემოდგომამდე გაგრძელდება, - აღნიშნა არჩილ ჩიქოვანმა.

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

მინისტრი მწარმოებლის გაფართოებულ ვალდებულების შესახებ საინფორმაციო შეხვედრას დაესწრო

დარინა გაბაიძე 514 22 22 80

სასტუმრო „გალოგრეში“ მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების შესახებ საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა

შეხვედრას აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაზა შავაძე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე სოლომონ პავლიაშვილი, ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის მოადგილე გიორგი სურამანიძე, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დირექტორი თამარ ალადაშვილი, კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის RECC აღმასრულებელი დირექტორი სოფიკო ახობაძე და მწარმოებლის გაფართოებულ ვალდებულებას დაქვემდებარებული ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

შეხვედრაზე მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების მქონე ორგანიზაციების შესაძლებლობების გაძლიერების საკითხები განიხილეს. ექსპერტებმა მონაწილეებს საუკეთესო პრაქტიკული გამოცდილების შესახებ მიაწოდეს ინფორმაცია და ახლად შექმნილი მგვ ორგანიზაციების ოპერირების და ბიზნესგეგმების შემუშავების მექანიზმებზე იმსჯელეს.

მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების შესახებ საინფორმაციო შეხვედრა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „ნარჩენების მართვისა და ციკრულარული ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა საქართველოში“ ფარგლებში გაიმართა კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის RECC და დანიური ორგანიზაცია COWI ორგანიზებით და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერით.

ვენახების კადასტრის პროგრამა

თამაზ მგზავრიძე 27 48 94

ღვინის ეროვნულმა სააგენტომ, რომელიც საქართველოს ვენახების კადასტრის პროგრამას ახორციელებს, ქედის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართა.

შეხვედრას მერის პირველი მოადგილე იმედა ვასაძე, მოადგილე მამუკა ფარტენაძე, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგრარული განვითარების დეპარტამენტის უფროსი ლევან ბოლქვაძე და ამავე დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი სოსო შერვაშიძე ესწრებოდნენ.

ვენახების კადასტრის პროგრამის განხორციელება მნიშვნელოვანია მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარებისთვის. კადასტრის შექმნა რთველის პროცესის გამარტივებასა და ყურძნის პროდუქტების ხარისხის გაუმჯობესებას უზრუნველყოფს.

ვენახების კადასტრი იქმნება თითოეული ვენახის ნაკვეთის რეგისტრაციით და მოიცავს ვენახში არსებულ ვაზის ჯიშებს, დარგვის თარიღს და ვენახის მდგომარეობას. ინფორმაციის შეკრება ხდება საველე პირობებში, მევენახეების გამოკითხვით და აეროფოტოებზე გამოხატული ვენახის ნაკვეთების იდენტიფიკაციით.

გასვლითი სხდომა

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

ქედაში საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტმა სახელოვნებო განათლების გაცნობის მიზნით, გასვლითი სხდომა გამართა. მოხსენებით ქედის მუნიციპალიტეტის მერი როლანდ ბერიძე წარსდგა. მან მოკლედ მიმოიხილა კულტურულ და სახელოვნებო განათლებაში არსებული მდგომარეობა, ისაუბრა მათ მიღწევებსა და სამომავლო გეგმებზე.

კულტურის კომიტეტის წევრებმა აღნიშნეს, რომ სახელოვნებო განათლების განვითარების კუთხით, საკანონმდებლო ორგანო მზადაა, მხარდაჭერა გამოუცხადოს ყველა იმ პროგრამასა და პროექტს, რომელიც რეგიონებში აღნიშნული სფეროს განვითარებას შეუწყობს ხელს.

სხდომას აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი ესწრებოდა.

საოპერო კულტურის პოპულარიზაციისათვის

ნანა აბულაძე 577 20 35 90

საქართველოს ფარგლებს გარეთ ქართული საოპერო კულტურის პოპულარიზაციის მიზნით, ვენეციის ბენედეტო მარჩელოს კონსერვატორიამ და კავანის სასახლემ ლექცია-კონცერტს უმასპინძლა.

ხელოვნების სასწავლო სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ხათუნა მანაგაძემ ლექცია „ქართული საოპერო მუსიკა“ წარმოადგინა, რომელიც ასახავდა ქართული საოპერო კულტურის ისტორიას მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან თანამედროვეობამდე. ვენეციის კონსერვატორიის სტუდენტებთან ერთად, ქართული ოპერებიდან დუეტები შეასრულეს ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის სოლისტებმა ირმა ჟღენტმა და ეთერ ხალვაშმა, რომლებსაც აკომპანიმენტს პიანისტი ნინო ნიშნიანიძე უწევდა. მათ მალხაზისა და აბდულ-არაბის პარტიები წარმოადგინეს ზაქარია ფალიაშვილის და დიმიტრი არაყიშვილის ოპერებიდან. სპეციალურად ამ კონცერტისთვის, სტეფან პოლიშჩუკმა დიმიტრი არაყიშვილის რომანსი „ღამეა ბნელი“ შეასრულა.

ლექცია-კონცერტის ფარგლებში, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე აკაკი ძნელაძე და ხათუნა მანაგაძე, კონსერვატორიის დირექტორს რობერტო გოტიპავეროს და კონსერვატორიის საერთაშორისო დეპარტამენტის ხელმძღვანელს ჩეჩილია ფრანკინის შეხვდნენ და ქართული საოპერო კულტურის ისტორიაზე, ამ მხრივ გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯებზე, ასევე, სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს.

აღნიშნული ლექცია-კონცერტი აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით ჩატარდა.

პაციენტის თანაგადახდის წილზე ზედა ზღვარი დაწესდა - პენსიონერები 10 პროცენტს გადაიხდიან

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93



ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში, სამედიცინო მომსახურებისთვის პაციენტის თანაგადახდის წილზე ზედა ზღვარი დაწესდა.

„მომსახურების დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფებით“ დაფინანსების მოდელის პირობებში პაციენტებისთვის მოიხსნა სხვა დამატებითი გადასახადი, გარდა თანაგადახდის წილისა, რომელიც 0-30%-ია. მიუხედავად ამისა, თანაგადახდა მაინც მძიმე ტვირთად აწვება პაციენტებს. ჯანდაცვის სამინისტრომ კონკრეტული ჯგუფებისთვის დააწესა ზედა ზღვარი, რომელზე მეტის გადახდა, მათივე განმარტებით, პაციენტს არ მოუწევს. კერძოდ: საპენსიო ასაკის პირებისთვის თანაგადახდის წილი იქნება 10%, მაგრამ არაუმეტეს 500 ლარისა. მაგალითად, თუ მომსახურების სრული ღირებულების 10 % აღემატება 500 ლარს, პაციენტი იხდის მხოლოდ 500 ლარს, დარჩენილ თანხას კი სრულად აფინანსებს სახელმწიფო. 0-5 წლის ბავშვებისთვის, შშმ ბავშვებისთვის, მკვეთრად გამოხატული შშმ პირებისა და სტუდენტებისთვის - 20% - არაუმეტეს 1000 ლარისა; მაგალითად, თუ მომსახურების სრული ღირებულების 20% აღემატება 1000 ლარს, პაციენტი იხდის მხოლოდ 1000 ლარს, დარჩენილ თანხას კი სრულად აფინანსებს სახელმწიფო. საბაზისო პაკეტის მოსარგებლეებისთვის - 30% - არაუმეტეს 1500 ლარისა.

მაგალითად, თუ მომსახურების სრული ღირებულების 30% აღემატება 1500 ლარს, პაციენტი იხდის მხოლოდ 1500 ლარს, დარჩენილ თანხას კი სრულად აფინანსებს სახელმწიფო.

ამბები

ექსპედიცია - „შუახევიჰესზე“

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ქვეყნის ენერგოსისტემის ბალანსის შევსებაში „შუახევიჰესს“ საკუთარი წვლილი შეაქვს. გაზაფხულზე მდინარეებში წყლის დონის მატებასთან ერთად, გამომუშავებული ენერგიაც მატულობს. ჰესს ამ ეტაპზე ინდოელი პრაშანტ შინდე ხელმძღვანელობს.

ჰესი, აქ მიმდინარე პროცესები ხშირად ექცევა ადგილობრივი თვითმმართველობისა და სკოლების მოსწავლეთა ყურადღების არეალში. შუახევის საკრებულოს ინიციატივით, აქ მორიგი გაცნობითი სახის ექსპედიცია მოეწყო. დაბა შუახევისა და ხიჭაურის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა, ამავე სკოლების ფიზიკის მასწავლებლებმა ნანული ქარცივაძემ, ნინო ქათამაძემ, შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძესთან, მოადგილეებთან გიორგი დავითაძესთან, გიორგი კეკელიძესთან, საკრებულოს წევრებთან - თენგიზ ივანაძესთან და მალხაზ ტაკიძესთან ერთად რიგრიგობით დაათვალიერეს ის აგრეგატები, სამუშაო ფარები, რომლებიც დენს გამოიმუშავებენ. მათ საინტერესო საქმიანობაზე განმარტებებს აძლევდნენ: პრაშანტ შინდე, ოპერაციული ინჟინრების ხელმძღვანელი თამაზ ურეკაძე, უსაფრთხოების მენეჯერი ლაშა ღოღობერიძე, ოპერატიული დეპარტამენტის ინჟინერი ირაკლი გურგენიძე, უსაფრთხოების ოფიცერი ინგული დავითაძე, ადმინისტრაციის წარმომადგენელი სოფო მელაძე.

ექსპედიციის დასრულების შემდეგ, რამდენიმე მოსწავლეს სურვილი გაუჩნდა, მომავლის სპეციალობად ენერგეტიკა აირჩიოს...

ამ ეტაპზე ჰესი ნორმალურად ოპერირებს და გამომუშავებული დენი საქართველოს ხმარდება. აქ 100-მდე ადამიანია დასაქმებული და მათი შრომითი პირობები სანიმუშოა, სახელფასო ანაზღაურება კი საკმაოდ მაღალი.

მიმდინარე სამუშაოებს გაეცნენ

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

დაბა შუახევში ევროსტანდარტების შესაბამისი, საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის შენობის მშენებლობა მიმდინარეობს. პროექტი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სერვისის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად.

სამუშაოებს შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, მერის მოადგილე გურამ ზოიძე და მერიის შესაბამისი სამსახურის თანამშრომლები გაეცნენ.

მშენებლობის დასრულების შემდეგ, ცენტრი თანამედროვე ინვენტარით აღიჭურვება, მოეწყობა საპარკინგე სივრცე.

ცენტრის მშენებლობა წელს დასრულდება. სამშენებლო სამუშაოებზე 355712 ლარი დაიხარჯება.

„პოეტები პოლიტიკაში მხოლოდ მაშინ ვერთვებით, როცა ქვეყანას უჭირს“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

საქართველოს წინსვლას და წარმატებას მნიშვნელოვანად განაპირობებს ეფექტურად გატარებული საშინაო პოლიტიკა, რაც გულისხმობს ეკონომიკურ კეთილდღეობას, ცივილიზებულ პოლიტიკურ გარემოს, მმართველ გუნდსა და ოპოზიციას შორის კონსენსუსს ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე, ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანებას, ურომლისოდაც პროგრესი შეუძლებელია. ეს ცხადყო ბალტიისპირეთის ქვეყნების მაგალითებმა, რომლებიც არა მარტო ეკონომიკურად განვითარებული, არამედ უსაფრთხოების თვალსაზრისითაც დაცული არიან ნატოს მხრიდან, რაც ჩვენს რეალობაში საყურადღებოა. რუსეთის აგრესია უკრაინისადმი ამის თვალსაჩინო მაგალითია. ამ პარამეტრების მიხედვით, როგორი სურათია საქართველოში? - სწორედ ამის თაობაზე „დროას“ აჭარის ორგანიზაციის ხელმძღვანელი, პოეტი ***გენრი დოლიძე*** *გვესაუბრება.*

- საქართველოს შიდა პოლიტიკაზე ვისაუბროთ. რა თავისებურებებით ხასიათდება ბოლოდროინდელი მოვლენები, რა ასპექტებს გამოჰყოფდით?

- 7-8 მარტის მოვლენებმა ცხადყო, რომ საზოგადოებაში დაგროვილია უკმაყოფილება და დიდი მუხტი, რაც გამოწვეულია ხელისუფლების მიერ სახელმწიფოს უნიათო მართვითა და პრორუსული კურსით. უკრაინის ომი წყალგამყოფი აღმოჩნდა ქართველ ხალხსა და „ქართულ ოცნებას“ შორის. ჩვენი მოსახლეობის უმეტეს ნაწილს კარგად აქვს გააზრებული, რა პოზიტიური შედეგები შეიძლება მოგვიტანოს ევროინტეგრაციამ და რა დამანგრეველი ეფექტი აქვს რუსეთთან მეგობრობას, მით უფრო მაშინ, როდესაც რუსეთი მთელი ცივილიზებული სამყაროსთვის ძალადობის, აგრესიის და სისხლისღვრის სიმბოლოდ იქცა. რუსეთისკენ გადადგმულ ნაბიჯებს ერთვის ინფლაცია, მაღალი ფასები, გაზრდილი კრიმინალი, კორუფცია, უმუშევრობა, ემიგრაციით გამოწვეული დემოგრაფიული კრიზისი და ტოტალური ნიჰილიზმისა და უიმედობის განცდა, რაც საზოგადოებაში უდიდეს მუხტს აგროვებს. ხალხი მომწიფდა ცვლილებებისთვის. ოპოზიციური პარტიების მთავარი ამოცანაა, შიდა დაპირისპირება დაძლიოს და საქმეზე ორიენტირებული ნაბიჯები გადადგას, დაარწმუნოს ხალხი, რომ ცვლილებას ექნება შედეგი, რომ შესწევს ძალა, რეჟიმის გასტუმრების შემდეგ ქვეყანა დააბრუნოს დემოკრატიულ რელსებსა და აღმშენებლობის გზაზე, რათა იგივე წრეზე არ წავიდეთ.

- თქვენ უარყოფითად აფასებთ არსებული ხელისუფლების საქმიანობას, თუმცა მმართველი პარტია ამბობს, რომ ოპოზიცია დესტრუქციული ქმედებითაა დაკავებული, თანაც, მათი თქმით, ქვეყანა ვითარდება...

- „დესტრუქციული ოპოზიცია“, „სატანისტები“, „ომის პარტია“ - ეს არის პუტინის მესიჯბოქსი, რასაც ტყუპისცალივით იმეორებს ჩვენი ხელისუფლება. ღარიბაშვილ-კობახიძის გუნდი ცდილობს, თავისი უნიათობა შემოგვასაღოს, როგორც „მშვიდობის უზრუნველყოფა“ და სტაბილურობა. ამ დროს, ცალკე აღებულ სტაბილურობას საერთოდ არ გააჩნია დადებითი კონოტაცია, ქვეყანაში ვითარება სტაბილურად მძიმეა, სტაბილურად მივიწევთ ბელარუსიზაციისკენ მაშინ, როცა ქვეყნის გადასარჩენად სასწრაფო და მკვეთრი ნაბიჯებია გადასადგმელი.

- ამას წინათ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ოთხ ქართველ მოსამართლეს სანქციები დაუწესა. ეს რაზე მიანიშნებს?

- ამ სანქციებით დასავლეთმა ორი სიგნალი მოგვცა: 1. საქართველოს ხელისუფლება ეფლობა რუსული მოდელის ჭაობში, ქვეყანაში არის კორუფცია და კლანური მმართველობა, რაზეც დასავლელი პარტნიორები თვალს არ დახუჭავენ; 2. ეს სანქციები უნდა იყოს გაკვეთილი ყველა ჩინოვნიკისთვის, რადგან თუ ანტიდასავლურ კამპანიაში ჩაერთვებიან და ივანიშვილის კლანის მონური მორჩილების გამო ჩაიდენენ უკანონობას, ამ სიაში შეიძლება მოხვდეს ნებისმიერი მათგანი, ანუ ამ გადაწყვეტილებას ერთგვარი პრევენციული დანიშნულებაც აქვს. მიუხედავად იმისა, რომ სანქცირებული ჩინოვნიკები იხტიბარს არ იტეხენ, ყველამ კარგად ვიცით, რომ მათ უმრავლესობას ოჯახის წევრები ამერიკაში ჰყავს გაშვებული სასწავლებლად, სამუშაოდ თუ საცხოვრებლად. იმედს ვიტოვებ, რომ ეს სია გაფართოვდება და ამასთანავე, აშშ-თან ერთად ევროპაც გამოიყენებს ამ მექანიზმს რუსული ძალების შესასუსტებლად.

- სხვათა შორის, ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ვერდიქტი უსაფუძვლოა...

- შეერთებული შტატები არის სუპერსახელმწიფო, სადაც დემოკრატიული ინსტიტუტები გამართულად მუშაობს. იქ, საქართველოსგან განსხვავებით, ერთი კაცი არ იღებს გადაწყვეტილებას და როდესაც სახელმწიფო დეპარტამენტი ვინმეს სანქციას უწესებს, ეს ნიშნავს, რომ მთელი ქვეყანა, ხელისუფლების ყველა შტო, არის პასუხისმგებელი ამ ნაბიჯზე.

- ამ ბოლო დროს, საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი მმართველ პარტიას ხშირად აკრიტიკებს, რა არის ამის რეალური მიზეზი და ხომ არ არის მოსალოდნელი პრეზიდენტმა ახალი პარტია ჩამოაყალიბოს?

- მიუხედავად იმისა, რომ სალომე ზურაბიშვილი ბოლო ორი წელია ქვეყნის საერთაშორისო იმიჯის დამცველად გვევლინება, მე მაინც ვფიქრობ - იგი ჯერ კიდევ ივანიშვილის პროექტია და მის „გეგმა ბე“-ს წარმოადგენს, პირველ რიგში, ამის საფუძველს მაძლევს პრეზიდენტის განცხადება პარლამენტში, სადაც მან გამიჯნა ხელისუფლება და მისი ჩრდილოვანი მმართველი, გააკრიტიკა ღარიბაშვილ-კობახიძის გუნდი და ერთგვარი კომპლიმენტი შეუთვალა მათ პოლიტიკურ პატრონს, ბიძინა ივანიშვილს, თითქოს, ის პოლიტიკიდან წასულია და როცა ის იყო ქვეყნის საჭესთან, მაშინ დასავლურ კურსს საფრთხე არ ემუქრებოდა. საქართველოში ბავშვმაც კი იცის, რომ საქართველოს ხელისუფლების ყველა შტო ერთი კაცის მიერ არის მიტაცებული და მისი პერსონალური გადაწყვეტილების გარეშე ქვეყნის კურსს კი არა, ნათურას ვერ შეცვლიან კანცელარიის დერეფანში... ამიტომ, არ მაქვს განცდა, რომ პრეზიდენტი, რომელიც ვერ ბედავს სასაცილო ბრალდებით დაკავებული პოლიტპატიმრის, გვარამიას გათავისუფლებას, მისი წინამორბედის, მესამე პრეზიდენტის სიცოცხლის უფლების დაცვის გარანტობას, ოდესმე გამოვა და რეალურად დაუპირისპირდება ივანიშვილის „რუსულ ოცნებას“. შესაძლოა, მან მართლა შექმნას პარტია, მაგრამ ეს იქნება „ქართული ოცნების“ ახალი ყლორტი....

- სხვათა შორის, საქართველოს პრეზიდენტი არც ოპოზიციის მიმართ იშურებს კრიტიკას. თქვენი აზრით, ამჟამად ოპოზიცია რა მოცემულობაშია, ანუ რამდენად თანმიმდევრულია თავის მიზნებში?

> ***„ოპოზიცია არ არის ერთი ორგანიზმი, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს არის განსხვავებული ადამიანების, განსხვავებული აზრების, იდეოლოგიების ერთობა, რომელსაც მხოლოდ ერთი საერთო ამოცანა აქვს - ივანიშვილის გუნდის გასტუმრებით ქვეყნის ევროინტეგრაციის გზაზე შემობრუნება.“***

- ოპოზიცია არ არის ერთი ორგანიზმი, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს არის განსხვავებული ადამიანების, განსხვავებული აზრების, იდეოლოგიების ერთობა, რომელსაც მხოლოდ ერთი საერთო ამოცანა აქვს - ივანიშვილის გუნდის გასტუმრებით ქვეყნის ევროინტეგრაციის გზაზე შემობრუნება. ვფიქრობ, ხმების გაყალბებით დაკომპლექტებული „ოცნების“ პარლამენტი, სადაც ოპოზიციას არანაირი ქმედითი ბერკეტი არ გააჩნია, გარდა იმისა, რომ მიკროფონთან გამოვიდეს და მწვავე განცხადებით გული მოიფხანოს, ფორმალური და ბუტაფორული ორგანოა.

- თქვენ გაერთიანდით პარტია „დროაში“ და აჭარაში მისი ხელმძღვანელი ხართ...

- „ქართული ოცნების“ დამსახურებით, საქართველო, თავისი დამოუკიდებლობის ისტორიაში, ყველაზე ახლოს ახლა დგას რუსეთთან, ქართველი ხალხი კი, გარუსების საფრთხესთან. ყოველდღიურად, პერსპექტივის, იმედის, ლუკმაპურის, სამართლიანი გარემოს საძებნელად ჩვენს ქვეყანას ათასობით ქართველი ტოვებს, პარალელურად, საქართველოში, გაურკვეველი მიზნებით, ათი ათასობით რუსი შემოედინება. ამ ყველაფრის შემხედვარეს გრჩება ორი არჩევანი, ან ემიგრანტთა დიდ ნაკადს შეუეროდე და საზღვარგარეთ გახიზნო ოჯახი, ან დაიკაპიწო ხელები, იპოვო თანამოაზრეები და წინ აღუდგე რუსულ ბოროტების მანქანას. პარტია „დროა“ და მისი ლიდერი ელენე ხოშტარია ჩემთვის ოკუპაციასთან ბრძოლის სიმბოლოა, ამიტომ გადავწყვიტე, შევუერთდე გუნდს, რომელიც ყველაზე ახლოს დგას ჩემს პრინციპებთან, ღირებულებებთან და, რაც მთავარია, აქტივისტურ სულისკვეთებასთან.

- ყველა პარტია აცხადებს, რომ განსაკუთრებულია. ამ მხრივ თქვენი პარტია რით განსხვავდება სხვებისგან? მმართველი პარტია ამბობს, რომ „დროა“ გარკვეულწილად „ნაციონალური მოძრაობის“ ფილიალია...

- პირველ რიგში, ელენე ხოშტარია არის გაბედული, თავგანწირული, მებრძოლი ლიდერი, მას აქვს თანმიმდევრული პოზიცია და იგი თავიდანვე არ დახარბდა დეპუტატის სავარძელს - უარი თქვა პარლამენტში შესვლაზე. ეს იმის დასტურია, რომ მას თანამდებობა, კომფორტი და პირადი კეთილდღეობა არ აინტერესებს. „დროას“ ჭყავს შემოკრებილი თანამედროვედ და პროგრესულად მოაზროვნე პროფესიონალების გუნდი, რომელთან ერთად მუშაობაც ჩემთვის საინტერესო გამოწვევაა. რაც შეეხება ხელისუფლების აზრს, საქართველოში დამოუკიდებლობის მოპოვების პირველივე დღეებიდან, საზოგადოება არის პოლარიზებული და ნებისმიერი ხელისუფლება მოქმედებს სტალინური პრინციპით - „ვინც ჩვენთან არ არის, ის ხალხის მტერია“. ეს გახლავთ მიზეზი, რომ ყველა განსხვავებულად მოაზროვნე ინდივიდი და ჯგუფი ხელისუფლების თვალში არის „ნაცი“. მაგრამ მთავარია, როგორ გვაფასებს საზოგადოება და არა - მეზღაპრე ღარიბაშვილი.

- საპარლამენტო არჩევნებამდე წელიწადი დარჩა. როგორ პოლიტიკურ სურათს უნდა ველოდოთ?

- „ქართული ოცნების“ ბოლოდროინდელი აგონიური მდგომარეობა ძალიან ჰგავს ასლან აბაშიძის „ბოლო ჟამის“ ნაბიჯებს. ვფიქრობ, რაც უფრო მოახლოვდება არჩევნები, უფრო მეტ შეცდომას დაუშვებს ხელისუფლება და საკუთარ ქმედებებშივე აიხლართება. მას ქვეყნის მართვის რესურსი უკვე ამოწურული აქვს, მთავარია, ოპოზიციამ დროულად მოახერხოს კონსოლიდაცია და თანმიმდევრული ნაბიჯები გადადგას, თორემ წინასაარჩევნო ფორმატში გაუჭირდება ერთობისა და კონსოლიდაციის დემონსტრირება.

- უნდა ველოდოთ თუ არა 2024 წლის არჩევნებში კოალიციური მთავრობის შექმნას და ამ მხრივ ოპოზიცია რამდენად მზადაა ერთმანეთთან თანამშრომლობისთვის?

- ოცდაათი წელია, ჩვენი ქვეყანა ერთ წრეზე ტრიალებს, თითოეულ ხელისუფლებას არჩევის მომენტში აქვს მაღალი სახალხო ლეგიტიმაცია და სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი სტარტი, თუმცა უკლებლივ ყველა მათგანი კრახით ასრულებს მოღვაწეობას. ამის მიზეზი კი ის არის, რომ აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის. ყველა ცივილიზებულმა სახელმწიფომ გაიარა ეს ეტაპი და უკლებლივ ყველგან, სწორი განვითარებისა და დემოკრატიული დღის წესრიგის ჩამოყალიბების წინაპირობა იყო ხელისუფლების დანაწილება. ჩვენი უპირველესი ამოცანა უნდა

იხ. მე-7 გვ.

უცხოეთი

ევროპელი ლიდერები სულ უფრო და უფრო უჭერენ მხარს პრეზიდენტ ემანუელ მაკრონის სწრაფვას ევროპის სტრატეგიული ავტონომიისკენ, - განაცხადა ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა შარლ მიშელმა. „ზოგიერთი ევროპელი ლიდერი არ იტყოდა რაღაცას ისე, როგორც ემანუელ მაკრონმა თქვა, თუმცა, ვფიქრობ, საკმაოდ ბევრი ფიქრობს ისე, როგორც ემანუელ მაკრონი“, - აღნიშნა მიშელმა. ცნობისათვის: საფრანგეთის პრეზიდენტმა ჩინეთში ვიზიტის შემდეგ განაცხადა, რომ ევროპამ უნდა შეამციროს შეერთებულ შტატებზე დამოკიდებულება და თავიდან აირიდოს ჩინეთსა და აშშ-ს შორის ტაივანის საკითხზე კონფლიქტში ჩათრევა. მაკრონი მიიჩნევს, რომ ევროპა უნდა გახდეს მესამე ძალა ტაივანის საკითხში და არ გახდეს გაშინგტონის ან პეკინის პოზიციის მიმდევარი.

* * *

პენტაგონიდან გაჟონილი ერთ-ერთი საიდუმლო დოკუმენტის თანახმად, უკრაინაში დასავლეთის რამდენიმე ქვეყნის, მათ შორის დიდი ბრიტანეთის სპეცრაზმი იმყოფება. 23 მარტით დათარიღებული დოკუმენტის მიხედვით, დიდ ბრიტანეთს უკრაინაში სპეცრაზმის ყველაზე დიდი - 50-კაციანი კონტინგენტი ჰყავს, ლატვიას - 17, საფრანგეთს - 15, აშშ-ს - 14, ნიდერლანდებს - 1. დოკუმენტში არ არის აღნიშნული, სად არიან განლაგებული ძალები და რას აკეთებენ ისინი.

* * *

ევროპაში აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების ინფორმაციით, 21 აპრილს რამშტაინის ფორმატის მე-11 შეხვედრა გაიმართება. მათივე ცნობით, აშშ-ის თავდაცვის მდივანი ლოიდ ოსტინი გეგმავს, პირადად უხელმძღვანელოს შეხვედრას, რომელზეც თავდაცვის მინისტრების და თავდაცვითი სფეროს სხვა მაღალჩინოსნები განიხილავენ „კრიზისს, რომელიც უკრაინაში გრძელდება, ასევე, უსაფრთხოების პრობლემებს, რომელთა წინაშეც დგანან აშშ-ის მოკავშირეები და პარტნიორები“. მანამდე უკრაინის თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ რამშტაინის მე-11 შეხვედრაზე უკრაინული დელეგაციის პრიორიტეტად საჰაერო თავდაცვის სისტემები დარჩება.

* * *

რუსეთი, შესაძლოა, ჩინეთში ენერგორესურსების და ნედლეულის ექსპორტზე დამოკიდებული გახდეს, - განაცხადა აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დირექტორმა უილიამ ბერნსმა. როგორც მან აღნიშნა, „რუსეთი სულ უფრო და უფრო დამოკიდებული ხდება ჩინეთზე და, გარკვეული თვალსაზრისით, თავს დროთა განმავლობაში ჩინეთის ეკონომიკურ კოლონიად გადაქცევისა და ენერგორესურსების და ნედლეულის ექსპორტზე დამოკიდებულების რისკის ქვეშ აყენებს“.

* * *

აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის შეიარაღებული შეტაკება მოხდა, არიან დაჭრილები და დაღუპულები. „11 აპრილს სომხეთის შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებმა გორუსის რეგიონის დიღის დასახლების მიმართულებით მდებარე პოზიციებიდან ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ინტენსიური ცეცხლი გაუხსნეს ლაჩინის რეგიონის მიმართულებით მდებარე აზერბაიჯანის არმიის პოზიციებს“, - წერს აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტრო. სომხეთის თავდაცვის სამინისტრო კი წერს, რომ „აზერბაიჯანის სამხედრო ქვედანაყოფებმა ცეცხლი გაუხსნეს სომეხ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც საინჟინრო სამუშაოებს აწარმოებდნენ ტელის დასახლების მიმართულებით“.

მოამზადა
ია ველიძემ

„ქართული ენა ქართველთა იდენტობის უპირველესი ნიშანია“

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ***მამია შაღავა*** *უკვე 67 წლისაა. 45 წლის წინათ, როცა საქართველოს სახელოვანი შვილები და ახალგაზრდობა ქართული ენის დასაცავად გამოვიდა, მაშინ იგი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლობდა. სხვა ბათუმელ სტუდენტებთან ერთად ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ქართული ენის სახელმწიფო ენად ჩაწერისთვის იბრძოდა. დღეს იგი ჩვენი გაზეთის მკითხველისთვის იმ რთულ პერიოდს გაიხსენებს.*

- ბატონო მამია, გვიამბეთ იმ პროცესებზე, რაც მაშინ საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის ახალი ვარიანტის მიღებას უკავშირდებოდა.

- გეგმა ასეთი იყო: ჯერ მოკავშირე რესპუბლიკებს უნდა მიეღოთ კონსტიტუციები, შემდეგ მიიღებდნენ სსრკ კონსტიტუციას, რომელშიც „ასახული“ იქნებოდა მოკავშირე რესპუბლიკების მთავარი ინტერესები. მას უწოდებდნენ განვითარებული სოციალიზმის კონსტიტუციას (სხვათა შორის, ეს საფეხური იმხანად მოიფიქრეს), „ერთი ნაბიჯიღა“ გვაკლდა კომუნიზმამდე. საბჭოთა იდეოლოგიის მამები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ უკვე ჩამოყალიბდა ან თითქმის ჩამოყალიბდა ადამიანთა ახალი ერთობა - საბჭოთა ხალხი, რომელიც ესწრაფვის, ააშენოს საოცნებო საზოგადოება - კომუნიზმი. სწორედ აქ ცდებოდნენ. არავითარ ხალხთა ახალ ერთობაზე არ შეიძლებოდა ლაპარაკი. საქართველოში სხვაგვარად ფიქრობდნენ. მცირე ნაპერწკალი იყო საჭირო, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა სააშკარაოზე გამოსულიყო.

- 14 აპრილამდე რა კავშირები გქონდათ ბათუმელ და თბილისელ სტუდენტებს?

- ჩვეულებრივი - ვხვდებოდით ხოლმე ერთმანეთს სამეცნიერო კონფერენციებზე, სხვაგანაც. ვმეგობრობდით, ვთანამშრომლობდით, ვიწვევდით ბათუმში, თავადაც გვიწვევდნენ. ვმეგობრობდით თბილისელ, თელაველ, გორელ, ცხინვალელ, სოხუმელ, ქუთაისელ სტუდენტებთან, გვქონდა საინტერესო შეხვედრები... მახსენდება სტუდენტთა რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია სოხუმში, 1977 წელი იყო, სწორედ ამ კონფერენციის მასალებში დაიბეჭდა ჩემი პირველი შრომა, მოხსენების თეზისები. სტუდენტურმა კონფერენციებმა, შეხვედრებმა გამოკვეთა ჩემი თაობის სამომავლო ინტერესები. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ვიცოდით, რა გზას დავდგომოდით...

- ავტონომიური რესპუბლიკის მაშინდელმა ლიდერებმა რატომ არ გაითვალისწინეს ქართული ენის თაობაზე თბილისში განვითარებული მოვლენები, რის გამოც ახალგაზრდებს ლამის სიცოცხლის ფასად დაგიჯდათ აჭარის კონსტიტუციაში სახელმწიფო ენად ქართული ენის შეტანა?

- როდესაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის პროექტი პრესაში გამოქვეყნდა და ვნახეთ, რომ იგი შესაბამისობაში არ იყო საქართველოს უკვე მიღებულ კონსტიტუციასთან (საქმე ეხებოდა ქართული ენის სტატუსს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალ კონსტიტუციაში), ჩვენი მოსაზრება ჩამოვაყალიბეთ წერილობით. 50-ზე მეტმა სტუდენტმა მოვაწერეთ ხელი და გავუგზავნეთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკონსტიტუციო კომისიას, რომელიც „ადგენდა“ კონსტიტუციის პროექტს, პასუხისმგებელი იყო ორგანიზაციებში მის „საყოველთაო განხილვაზე“ და შემოსული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით, ქმნიდა კონსტიტუციის საბოლოო რედაქციას, რომელსაც დასამტკიცებლად წარუდგენდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიას. ჩვენი მოსაზრებები გავუგზავნეთ სხვა ორგანიზაციებსაც, მათ შორის, აჭარის მწერალთა კავშირს, თუმცა ყურად არ იღეს ახალგაზრდების აზრი. აღვნიშნავ, რომ სესიამდე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პირველ პირთან შეხვედრაზე იყვნენ მაშინდელი სტუდენტები ვახტანგ ღლონტი და მალხაზ სიორიძე (ცალ-ცალკე ესაუბრნენ მათ). სტუდენტთა წარმომადგენლებმა ახალგაზრდობის აზრი გადასცეს მთავრობას. მოგვიანებით ვახტანგ ღლონტი გაიხსენებს შეხვედრას პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანთან: „ახლა მივდივარ და რას დამაბარებთ ახალგაზრდებთან, რა გადავცე მათ?“ (მგონი სწორად მახსოვს ბატონი ვახტანგის ნათქვამი, აზრი ნამდვილად ეს იყო) - გამოთხოვებისას ასე უთხრა მდივანს. შედეგი არც ამ ცდას მოჰყოლია. „ზემოთ“ გადაწყვეტილება უკვე მიღებული იყო... მაგრამ მათ ვერც წარმოედგინათ, თუ ასეთი წინააღმდეგობა შეხვდებოდათ. მიჩვეულები იყვნენ ამგვარი დოკუმენტების „დამსწრეთა ტაშის გრიალში“ მიღებას, ამჯერად კი ვერ გათვალეს. აქვე ვიტყვი, რომ მოგვიანებით, 1998 წელს, დავინტერესდი 1978 წლის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაისის სესიის მასალებით. აჭარის სახელმწიფო არქივში მოვიძიე დიდი საქაღალდე. ჯერ ერთი, არსად ჩანდა სტუდენტთა მიერ გაგზავნილი წერილი, რამაც ერთხელ კიდევ გული მატკინა. მეორეც, სესიაზე არავინ ფიქრობდა, ეხსენებინა მაინც სტუდენტთა (და არა მარტო) წერილი, მოსაზრება. მხოლოდ ფრიდონ ხალვაშმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, შემოსულიაო სტუდენტთა წერილი-მოთხოვნა. არავინ მოისმინა ბატონი ფრიდონის ნათქვამი. სესიის მასალების წამკითხავი ვერაფერს იგრძნობს 1978 წლის 26 მაისის ცხელი ბათუმური დღის შესახებ. არადა, მართლაც, ცხელი დღე იყო პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. ჩანს, ვიღაცამ შეგნებულად გადამალა საზოგადოებრივი აზრის გამომხატველი დოკუმენტი; ვიღაცამ საჭიროდ არ ჩათვალა მისი არქივში გადაგზავნა. იქ ხომ უფრო „მნიშვნელოვანი ისტორიული მასალები“ შეიტანეს შთამომავლობისთვის შესანახად?! მახსენდება, 26 მაისს, დილით ლენინის მოედანზე შეკრებილ მომიტინგეებთან ჩამოსული თუ გამოგზავნილი რამდენიმე დეპუტატის სიტყვები: „წადით, დაიშალეთ, ჩვენ უკვე ყველაფერი გადავწყვიტეთ!“. კი მაგრამ, რა გადაწყვიტეთ?! ნუთუ თქვენთვის არაფერს ნიშნავს შეკრებილი ამდენი ადამიანი საოლქო კომიტეტის შენობის წინ, ქალაქის ცენტრალურ მოედანზე?! ბუნებრივია, არავის უფიქრია სახლში წასვლა, პირიქით კი იყო... „ჩვენ უკვე გადავწყვიტეთ“ - ეს სიტყვები დღესაც ჩამესმის, უპასუხისმგებლო და უპატივცემულო განცხადება (მათი სახეები მახსოვს, გვარებიც, ხშირად ვხვდებოდი ქალაქში, მაგრამ აქ მათ სახელებს არ ვახსენებ, რადგან ცოცხალთა შორის აღარ არიან. მეორეცაა - ისინი დარწმუნებულნი იყვნენ თავიანთ სიმართლეში, საბჭოთა ხელისუფლების სიძლიერეში და რომ გეკითხა, ახალგაზრდობას, ზოგადად, შეკრებილებს უფრთხილდებოდნენ. ბევრი მათგანი ხომ თბილისის 1956 წლის გამოსვლების მომსწრე და მონაწილეც იყო). მომიტინგეებს თანდათან ემატებოდა ხალხი, დილის 11-12 საათისათვის მოედანზე ტევა აღარ იყო. გვიან იკადრა ხელისუფლებამ მომიტინგეებთან გამოსვლა. აღარ შევუდგები დეტალების აღწერას, ამის შესახებ არაერთ პუბლიკაციაშია საუბარი. მთავარი ისაა, რომ საბოლოოდ ხალხის მოთხოვნას ანგარიში გაუწია ხელისუფლებამ. ეს იყო, თბილისის 14 აპრილის მოვლენების შემდეგ, შემთხვევა, როდესაც ხელისუფლებამ უკან დაიხია. ამ დღეებმა სტიმული მისცა ეროვნული მოძრაობის გააქტიურებასა და იატაკქვეშეთიდან გამოსვლას. დიდი დღე იყო 14 აპრილი და მისი გაგრძელება - 26 მაისი საქართველოს უახლეს ისტორიაში. 14 აპრილს ყოველწლიურად ვიხსენებთ თუნდაც იმიტომ, რომ მოგვიანებით იგი დედაენის დღედ გამოცხადდა, ბათუმური 26 მაისი კი თანდათან დავიწყებას ეძლევა, რაც არასწორია.

- სახელმწიფო უშიშროების სამსახურებისა და პარტიული ელიტის ზეწოლის რა მომენტებს გაიხსენებდით?

- პარტიული ელიტისაგან ვერაფერს: არასოდეს ვყოფილვარ კომუნისტური პარტიის წევრი და არც რაიმე შეხება და ვალდებულება მქონია მათთან. რაც შეეხება სახელმწიფო უშიშროების სამსახურს, მქონდა მათთან შეხვედრა 26 მაისის ამბებთან დაკავშირებით: მახსოვს, 28 მაისი იყო, ინსტიტუტში მისულს კადრების განყოფილებაში შემხვდა უშიშროების პოდპოლკოვნიკი (არც მის გვარს ვასახელებ) და მითხრა, შენთან სასაუბრო მაქვს და სამ საათზე „ინტურისტის“ შესასვლელთან დაგელოდებიო. მეგობრებს რომ ვუთხარი, დამიბარა უშიშროების თანამშრომელმა-მეთქი, მიდიო, მირჩიეს. რამდენიმე უკვე ნამყოფი იყო ხსენებულ ბატონთან შეხვედრაზე. შევხვდით, კარგა ხანს გაგრძელდა ჩვენი საუბარი სასტუმროს 225-ე ოთახში. ოფიცერი განსაკუთრებული აგრესიულობით გამოირჩეოდა-მეთქი რომ გითხრათ, მართალი არ ვიქნები. მთხოვდა, დამესახელებინა, ვინ ხელმძღვანელობდა სტუდენტებს, ვინ გაუკეთა ორგანიზება გამოსვლებს და ასე შემდეგ. ჩემი პასუხი იყო: ვინც სტუდენტურ წერილზე ხელი მოაწერა, ყველა ვიყავით ორგანიზატორი-მეთქი. მაშინ, იქნებ გაიხსენო, წერილი ვინ დაწერაო. რადგან მოვაწერეთ ხელი, წერილის ავტორებიც ჩვენ ვართ, კოლექტიური ავტორი ჰყავს ამ წერილს-მეთქი, თანაც ისეთი რა გვიწერია ამ წერილში, რასაც ძიება სჭირდება? ჩვენი აზრი ხომ გაცხადებულია და არაფერია დაფარული-მეთქი, შემდეგ ჩემი ნათქვამიდან გამომდინარე ხელწერილი დამაწერინა, რომელშიც გავიმეორე, რაც ზემოთ ვთქვი და ასე დავშორდით ერთმანეთს. ამ დღის შემდეგ ამ თემაზე უშიშროების წარმომადგენელთან საუბარი არ მქონია, სხვა თემებზე - არაერთხელ.

- სტუდენტებს ყველაზე მეტად გვერდით ვინ ედგა იმ დღეებში?

- აქტიური ჩვენი თაობა იყო, ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთაგან ბევრი ჩვენთან ერთად იდგა ლენინის მოედანზე მთელი დღის განმავლობაში. უმეტესობა ჩვენს აზრს იზიარებდა, ზოგიერთს არ მოსწონდა ახალგაზრდობის განწყობა, მაგრამ მაინც იქ იდგა. მადლობა ყველას იმ დღის გაზიარებისთვის. შეგნებულად არ დავასახელებ სახელებს, ვაითუ, ვინმე გამოვტოვო.

- თბილისში მიზნობრივ ასპირანტურაში სწავლისას მიტინგებში მონაწილეობას ხომ არ გახსენებდნენ?

- ჩემი ახალგაზრდობის საუკეთესო წლები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გავატარე როგორც ასპირანტმა. ასპირანტურის კურსს გავდიოდი ფილოლოგიის ფაკულტეტზე, ახალი ქართული ენის კათედრაზე ბატონი ივანე ქავთარაძის ხელმძღვანელობით. ბევრი რამ სასიკეთო შემძინა თბილისის უნივერსიტეტმა და, ზოგადად, თბილისმა. მარტო თბილისელი კოლეგები და სამეგობრო რად ღირს... ამბად თუ გავიხსენებდით 1978 წლის აპრილ-მაისის მოვლენებს, თორემ ზემდგომთ არასოდეს შეუხსენებიათ ეს არცთუ ძველი ამბები. თბილისის უნივერსიტეტმა ქვეყანაში ყველაზე სწორად შეაფასა 14 აპრილიცა და 26 მაისიც.

- წარმატებული ასპირანტისა და ეროვნული მოძრაობის მონაწილის მიმართ ქართული ენის მებაიირახტრენი მადლიერებას გამოხატავდნენ?

- ასპირანტურის პერიოდი განსწავლისა და მეცნიერული წრთობის წლები იყო. თბილისის უნივერსიტეტმა, კონკრეტულად, ახალი ქართული ენის კათედრამ, ჩემმა სამეცნიერო ხელმძღვანელებმა ყველაფერი გააკეთეს, გზა რომ გამეკვლია მეცნიერებაში. მთელი ცხოვრება მომყვება მადლიერების გრძნობა ჩემი მასწავლებლებისადმი. მათი ჩემდამი დამოკიდებულება დიდი გაკვეთილი იყო. აქედან გამომდინარე, მადლობას ისინი კი არ მიხდიდნენ, პირიქით, მადლიერი მე ვარ ჩემდამი ზრუნვისთვის.

- ქვეყნისთვის ძნელბედობის წლებში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის გამგე იყავით. რას აკეთებდით მშობლიური ენისთვის?

- 1992 - 2006 წლებში ვიყავი ქართული ენის კათედრის გამგე, იქამდე (1991-1992 წწ) - ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი. პარალელურად, 1991 წლიდან, ვხელმძღვანელობდი ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას ბათუმის დამოუკიდებელ უნივერსიტეტში. ბუნებრივია, ჩემი და ჩემი კოლეგების საქმიანობის მთავარი პრიორიტეტი იყო ქართული ენის კვლევა და სწავლება. აღვნიშნავ, რომ ბათუმის ახალგაზრდა უნივერსიტეტი იმხანად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართული ენის სწავლებას. ქართული ენისა და ქართული ლიტერატურის ზოგადი კურსები ისწავლებოდა ყველა სპეციალობაზე, რაც ზრდიდა ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის ავტორიტეტს და მისი ცოდნის ხარისხს. ამ მიმართულებით საინტერესო ნაბიჯები გადაიდგა. დასანანია, რომ რეფორმის შემდეგ „ქართული ენის პრაქტიკული კურსი“ ამოიღეს ყველა პროგრამიდან, შეიტანეს „აკადემიური წერა“, რომელიც თავისთავად მნიშვნელოვანი საგანია, მაგრამ იგი ვერ ანაცვლებს „ქართული ენის პრაქტიკულ კურსს“, მას სხვა დატვირთვა და მიზანი ჰქონდა. რაც შეეხება ქართული ენის კვლევას ჩვენს უნივერსიტეტში: თითქმის სამი ათეული წელია ჩვენი თანამშრომლები წარმატებით იკვლევენ სამხრულ მეტყველებას/ქართული ენის სამხრულ კილოებს - აჭარულ, შავშურ, კლარჯულ და ტაოურ დიალექტებს. აჭარული დიალექტის შესწავლის საქმე ჩვენამდეც საკმაოდ წინ იყო წასული უფროსი თაობის სპეციალისტთა კვლევებით. აჭარულის რიგ პრობლემებს იკვლევდნენ და იკვლევენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (ახლა - ბსუ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი), რაც შეეხება სხვა სამხრულ კილოებს, მათი კვლევა ჩვენი მკვლევრების ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. ისტორიულ სამხრეთ საქართველოში, ჭოროხის ქვეყნებსა და თურქეთის რესპუბლიკის შიგა პროვინციებში გაშენებულ ქართველ მუჰაჯირთა დასახლებებში ჩვენმა ჯგუფმა მოაწყო 40-ზე მეტი კომპლექსური ექსპედიცია, შეგროვდა ძვირფასი დიალექტოლოგიური, ფოლკლორული, ეთნოლოგიური, არქეოლოგიური მასალები, დაიბეჭდა რამდენიმე კომპლექსური მონოგრაფია: „შავშეთი“ (2010), „კლარჯეთი“ (2016), „ტაო“ (2020), „მარადიდი“ (2020), „ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლები თანამედროვე თურქეთში, წიგნი პირველი, მაჭახლელი მუჰაჯირები“ (2017), (აღვნიშნავ, რომ 2012-2016 წლებში ბსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „ქართველოლოგიის ცენტრი“ ინტენსიურად მუშაობდა მუჰაჯირთა შთამომავლების ყოფისა და კულტურის შესასწავლად. დასანანია, რომ პროექტი შეწყდა და ბოლომდე ვერ მივიყვანეთ კარგად დაწყებული საქმე, მონოგრაფიით დავასრულეთ მხოლოდ ერთი ეპიზოდი). 2023 წელს დაიბეჭდა მერი ცინცაძის, მაია ბარამიძისა და ამ სტრიქონების ავტორის მონოგრაფია „ქართული ენის შავშური დიალექტი“ (გამოკვლევა, მასალები, ლექსიკონი), გამოსაცემად მზადდება „ქართული ენის კლარჯული დიალექტი“ იმავე მკვლევართა ავტორობით (ჩვენი მკვლევრები ასევე წარმატებით იკვლევენ ძველი ქართული ენის, ქართული ენის სტილისტიკის, თანამედროვე ქართული ენის პრობლემებს). აღარაფერს ვამბობ ცალკეულ სტატიებსა და მოხსენებებზე, რომელთაც ჩვენი კოლეგები აქვეყნებენ სხვადასხვა გამოცემაში და კითხულობენ მოხსენებას სამეცნიერო ფორუმებზე... სიტყვა გამიგრძელდა, ბარემ ერთსაც ვიტყვი: სამეცნიერო კვლევებში ჩართული არიან სამივე საფეხურის სტუდენტები - ბაკალავრები, მაგისტრანტები, დოქტორანტები, რომლებიც აგროვებენ დიალექტოლოგიურ მასალებს, მათივე მასალებზე დაყრდნობით წერენ სადიპლომო და სადოქტორო ნაშრომებს, რითაც მყარ საფუძველს ამზადებენ აჭარული დიალექტის კვლევის ახალი ეტაპისთვის.

იხ. მე-7 გვ.

„ ინფორმაციულ ეპოქაში ვცხოვრობთ. დედამიწა თითქოს დაპატარავდა, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ინფორმაცია სწრაფად ვრცელდება... ეს ყველაფერი აისახება ენაში. ბუნებრივია, ახალ ინფორმაციას ახალი სიტყვები შემოჰყვება ყოველდღიურ ყოფაში, სხვაგვარად ენა ვერ შეასრულებს თავის უპირველეს ფუნქციას - ასახოს ცხოვრება, შექმნას სამყაროს ხატი. ამ უკონტროლო პროცესში ენაში შემოდის სიტყვები, რომელთა ნაწილს დრო გამოცდის და დამკვიდრდება, როგორც ნასესხობა, ნაწილი კი დავიწყებას მიეცემა

«ხალხის ძალა» ამომრჩეველთა ინტერესებს დაიცავს

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ზაზა დავითაძე *შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეა. იგი წარმომადგენლობით ორგანოში «ქართული ოცნების» სიით მოვიდა, მაგრამ რამდენიმე თვის წინ პარტია დატოვა და მოძრაობა «ხალხის ძალას» შეუერთდა.*

- წარმომადგენლობით ორგანოში დაბა შუახევის და ამ ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი დასახლებების ამომრჩეველთა მაჟორიტარი დეპუტატი ხართ. ეს არჩევანი თქვენს ავტორიტეტს მიეწერება თუ ამომრჩეველთა ნდობას?

- ორივეს. შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მესამედ ვარ არჩეული. მახსენდება ის შეხვედრები, რომლებიც წინასაარჩევნოდ ჩანჩხალოში, დაბაძველში, ბესელაშვილებში, ოქროპილაურში, სხეფსა და თერნალში გვქონდა. ამომრჩევლები ღიად მიცხადებდნენ ნდობას. წინა მოწვევებში მათი მაჟორიტარი არ ვიყავი, მაგრამ ჩემი უშუალო ჩარევით, მრავალი პრობლემა გადაწყდა. სოფლის მკვიდრი, ისიც აჭარის მთიანეთში, კეთილ საქმეს არ ივიწყებს. ამჟამად მოქმედ წარმომადგენლობით ორგანოში მუშაობის 17 თვეზე მეტი გავიდა. ერთ მცირე თუ დიდ პრობლემასაც ვერ გაიხსენებენ ამომრჩევლები, რომელიც რეაგირების გარეშე დავტოვე. მუნიციპალიტეტში რიგ შემთხვევაში, აჭარის სამინისტროებში, სათანადო ინსტანციებში პრობლემები მიმაქვს და გადაჭრის გზებსაც ერთად ვსახავთ. პროფესიით ექიმი-სტომატოლოგი ვარ. ჩემი, თუნდაც უფროსი თაობის ექიმებთან მეგობრული, კოლეგიალური, თუნდაც სამსახურებრივი დამოკიდებულება საშუალებას მაძლევს სოციალურად დაუცველ, ქრონიკული დაავადებების მქონე ამომრჩევლებს ხელი წავახმარო. მარტო წელს 35-ზე მეტ ამომრჩეველს მკურნალობისთვის რეკომენდაციები გავუწიე. ვერც იმ დიდ დახმარებას, თანადგომას დავივიწყებ, რასაც მაჟორიტარი პარლამენტარი ანზორ ბოლქვაძე მიწევს. ის კარგად იცნობს დედაქალაქში მოქმედი წამყვანი კლინიკების ხელმძღვანელებს, ხშირად აჭარის მთიანეთში კვალიფიციური ექიმები უფასო სამედიცინო კონსულტაციებისთვისაც ჩამოჰყავს. როცა საკრებულოს სხდომაზე 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი განიხილებოდა, მაჟორიტარული ოლქის სოფლებში რამდენიმე პროექტი ჩემი წინადადებით დაამატეს. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობაც ჩემს შეთავაზებას უყურადღებოდ არ ტოვებს.

- რა გარემოებამ განაპირობა «ხალხის ძალის» რიგებში თქვენი გადასვლა?

- «ხალხის ძალის» პოზიციიდან ამომრჩეველთა ინტერესებს კიდევ უფრო უკეთ დავიცავ.

- მაჟორიტარი დეპუტატის პასუხისმგებლობას ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის საქმიანობაც ემატება...

- კოლეგების, მმართველი პარტიის პოლიტსაბჭოს, თუნდაც «ხალხის ძალის» ლიდერების ნდობით, სამივე მოწვევაში ამ კომისიის თავმჯდომარე ვარ. ვცდილობ, იმ სოციალური პროგრამებისა და პროექტების შესრულებაში აქტიური ვიყო, რაც მუნიციპალიტეტის მერიას სოციალურად დაუცველი ამომრჩევლებისთვის აქვს გათვალისწინებული. შუამდგომლობას არ ვაკლებ იმ ბენეფიციარებს, რომლებიც გადაუდებელ ოპერაციებს ან ქრონიკული დაავადებების მკურნალობას საჭიროებენ.

- ბოლო დროს სამუშაო შეხვედრა გქონდათ ბორჯომში...

- «ხალხის ძალის» ლიდერების პოზიცია პირუთვნელი და პრინციპულია. ისინი ღიად, ყოველგვარი ზედმეტობის გარეშე ამხელენ იმ პირებს, რომლებიც ზოგიერთ საკითხში მიკერძოებულები არიან, არ აქვს მნიშვნელობა, ქვეყნის აკრედიტებული ელჩი თუ საელჩოს წარმომადგენელია, საშინაო საქმეებში ჩარევისგან თავს უნდა იკავებდეს. ერთი პარტიის ინტერესების სასარგებლოდ მოქმედება სიკეთეს ვერ მოიტანს. ჩვენ ოპოზიციური პარტიების მსგავსად, ქვეყნის ხელისუფალს არ ვუპირისპირდებით, მხოლოდ ქვეყნის ინტერესებს ვიცავთ.

- «ხალხის ძალის» ლიდერები საქართველო-უკრაინის ურთიერთობებზეც აკეთებენ კომენტარებს, პრესაში, ტელევიზიაში, სოციალურ ქსელებში...

- ისინი სამართლიან, ობიექტურ, ერისა და ქვეყნის ინტერესებზე მორგებულ კომენტარებს აკეთებენ. ზოგიერთი უკრაინელი, განსაკუთრებით უკრაინის სახელმწიფო სტრუქტურებსა და ბიზნესსფეროში დასაქმებული ქართველი პოლიტიკოსები, ბიზნესმენები ისეთ ფრაზებს წამოისვრიან, რაც ევროპა-აზიის გასაყარზე მდებარე ჩვენი ქვეყნისთვის დამღუპველია. არსად მსმენია, რომ «ხალხის ძალის» ლიდერები და თითოეული ჩვენგანი უკრაინელი ხალხის ბედს არ იზიარებს. ცრუ ბრალდებებს ამ მიმართებითაც არ «იშურებენ». ყველას ობიექტურ პასუხს ვცემთ. არც იმას დავუშვებთ, რომ საქართველო ისევ უგუნურების ხელში აღმოჩნდეს ან გაუმართლებელ ომში ჩაერთოს.

- თქვენ მიერ გაკეთებულ კომენტარებს თუ გაიხსენებთ?

- საკრებულოს სხდომებზე, საჯარო ღონისძიებებზე მუდამ არგუმენტირებულ, არსებული სიტუაციებიდან გამომდინარე კომენტარებს ვაკეთებ. ქვეყნის მასშტაბით ეროვნული ვალუტა გამყარდა პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, მედიკამენტებზე ფასები მცირდება. თითქმის ერთი ლარით მოიკლო ბენზინის და დიზელის საწვავის ფასებმა. გასული წლის დეკემბრის სხდომაზე, ადგილობრივი ბიუჯეტის პარამეტრებს რომ ვადგენდით და ცალკეულ პროექტებზე თანხების გაწერა ხდებოდა, სამაჟორიტარო ოლქის სოფლებში რამდენიმე პროექტი დავამატებინე. კიდევ მაქვს რიგი მოსაზრება და წინადადება, რომელსაც ხელმძღვანელობას წარვუდგენ. აქვე გეტყვით, რომ აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების ხელმძღვანელები, შესაბამისი სამსახურები, ჩემს, «ხალხის ძალის» მეორე წევრის, საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილე გიორგი დავითაძის წინადადებებს უსმენენ. სულ მალე ახალი პროექტის ინიცირებას ვაპირებთ.

- ერთი წელია, შუბნის პირველადი ჯანდაცვის ცენტრი ექიმის გარეშეა დარჩენილი. ამას რით ახსნით?

- შუბნის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლები მუნიციპალიტეტის ცენტრს 25-30 კილომეტრითაა მოშორებული. ადგილზე ექიმის არყოფნა მოსახლეობის სამართლიან საყვედურს იწვევს და იგი მეტ-ნაკლებად, ჩვენც გვეხება. ექიმი მალე ეყოლებათ და ამ პრობლემას ჰოლდინგი გადაჭრის.

- მოსახლეობა უკმაყოფილოა სოციალურად დაუცველთა სარეიტინგო ქულების განაწილებით...

- ამ სამსახურების საქმიანობაში ჩარევისგან ყველა თავს იკავებს. არადა, სოფლებში ისევ გვყავს ოჯახები, რომლებსაც ეკონომიურად უჭირთ. მიწა, ისიც მცირე და მწირმოსავლიანი, მათ ვერ აკმაყოფილებს. ასეთ დროს, სოციალური დახმარება ოჯახს საარსებო მინიმუმს გაუჩენს. მრავალ ოჯახს სასიკეთოდ წაადგა პრემიერ-მინისტრის მიერ წამოწყებული დასაქმების პროგრამა.

- პოლიტიკოსები გარკვეულ პროგნოზებს აკეთებთ. დღეს რომ არჩევნები იყოს, «ხალხის ძალას» რა მხარდაჭერა ექნება?

- ჩვენ ყოველთვის ხალხის აზრს, ხალხის ინტერესებს ვითვალისწინებთ. არც ისაა შემთხვევითი, რომ ეს არჩევანი პირადი სურვილის საფუძველზე გავაკეთე. იმ ასაკში ვარ ახლა, შეცდომის დაშვება ყოვლად გაუმართლებლად მიმაჩნია. ექიმად მუშაობა რაიონულ საავადმყოფოში განუკითხაობის წლებში დავიწყე. ჩემთვის ავტორიტეტი და სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი პაციენტი არ არსებობდა. შემიძლია მთელი შუახევი თქვენთან ერთად შემოვიარო და რა ურთიერთობებიც მაქვს ადამიანებთან, დაინახავთ. მხარდაჭერის იმედსაც სწორედ ეს მაძლევს.

- ოპოზიციაში თუ ყოფილხართ?

- რამდენჯერმე, მაგრამ ადამიანურ ზღვარს, ეთიკის ნორმებს არ გადავსულვარ. სულ მახსოვდა, რომ ჩემს უკან ჩემი შუახეველები, მათი ოჯახები, ნათესავები იდგნენ. მიტინგებზეც ვიყავი და აქციებზეც, თუმცა ერთხელაც, პერსონალურად, არგუმენტების გარეშე არავინ გამიკეთებია. პოლიტიკური შეფასებებისგან ადრეც და ახლაც თავს ვიკავებ. იმ მდინარეში შესვლას არ ვცდილობ, რომლის გადალახვას ვერ შევძლებ.

- დაბოლოს, რა პროგნოზი გაქვთ ევროკავშირის მიერ გაწერილი 12-პუნქტიანი რეკომენდაციის შესრულებასთან დაკავშირებით?

- მოქმედი ხელისუფლება, საქართველოს პარლამენტის უმრავლესობა ვენეციის კომისიის დასკვნების საფუძველზე მოქმედებს, სამაგალითოდ დეოლიგარქიზაციის კანონიც საკმარისია. მჯერა, ქვეყანა ერთხელ არჩეულ გზას არ გადაუხვევს, ყველა და ყველაფერი კანონისა და კანონიერების შესაბამისად წარიმართება. შორს ვარ იმ მოსაზრებისგან, რომ ჩვენთან უკრაინის «მეიდანი» განმეორდება. მოქმედ ხელისუფალს, საქართველოს პარლამენტს აქვს იმის რესურსი, რომ ქვეყანას რევოლუციური პროცესები ააშოროს.

> ***„უკრაინის სახელმწიფო სტრუქტურებსა და ბიზნესსფეროში დასაქმებული ქართველი პოლიტიკოსები, ბიზნესმენები ისეთ ფრაზებს წამოისვრიან, რაც ევროპა-აზიის გასაყარზე მდებარე ჩვენი ქვეყნისთვის დამღუპველია. არსად მსმენია, რომ «ხალხის ძალის» ლიდერები და თითოეული ჩვენგანი უკრაინელი ხალხის ბედს არ იზიარებს. ცრუ ბრალდებებს ამ მიმართებითაც არ «იშურებენ». ყველას ობიექტურ პასუხს ვცემთ. არც იმას დავუშვებთ, რომ საქართველო ისევ უგუნურების ხელში აღმოჩნდეს ან გაუმართლებელ ომში ჩაერთოს***

უკრაინა

უკრაინის თავდაცვის მინისტრი ოლექსი რეზნიკოვი იმ უცხოელ მფრინავებს, რომლებსაც F-16 ტიპის საბრძოლო თვითმფრინავების მართვა შეუძლიათ, უკრაინის დასაცავად იწვევს. კერძოდ, თავდაცვის მინისტრი უცხოელ სპეციალისტებს, რომლებსაც სურთ და შეუძლიათ უცხოური ტექნიკის გამოყენება, აქვთ შესაბამისი ნებართვები და დოკუმენტებზე წვდომა, უკრაინაში სამუშაოდ ჩასვლას სთავაზობს. „ეს ასევე ეხება პილოტებს. თუ არსებობენ მფრინავები, რომლებმაც F-16-ის მართვა იციან და მზად არიან მონაწილეობა მიიღონ (ომში), უცხოური ლეგიონი მზადაა, კარი გააღოს“, - განაცხადა რეზნიკოვმა.

* * *

კანადამ რუსეთის უკრაინაში შეჭრის გამო ახალი სანქციები დააწესა და კიევს ახალი სამხედრო დახმარება აღუთქვა, - ამის შესახებ კანადისა და უკრაინის პრემიერ-მინისტრების, ჯასტინ ტრუდოსა და დენის შმიგალის შეხვედრის შემდეგ გახდა ცნობილი. კერძოდ, კანადა უკრაინას 21000 ავტომატს, 38 ტყვიამფრქვევს და 2,4 მილიონ ტყვიას გაუგზავნის, ახალი სანქციები კი რუსეთის კიდევ 14 მოქალაქესა და 34 ორგანიზაციას უწესდება. „გავაგრძელებთ უკრაინის მხარდაჭერას ყველაფრით მანამ, სანამ საჭირო იქნება“, - განაცხადა კანადის პრემიერმა უკრაინელ კოლეგასთან შეხვედრის შემდეგ. კანადა უკრაინის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მხარდამჭერია და 2022 წლის იანვრიდან, ფინანსური, სამხედრო, ჰუმანიტარული და სხვა სახის დახმარებაზე 8 მილიარდ კანადურ დოლარზე მეტი (5,94 მილიარდი აშშ დოლარი) გაიღო.

* * *

შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრი ლოიდ ოსტინი მიიჩნევს, რომ უკრაინას ახლა საკმარისი შესაძლებლობები აქვს, კონტრშეტევის დროს წარმატებას რომ მიაღწიოს. „სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ისინი მიაღწევენ იმას, რასაც კარგი ლიდერები, დიდი ლიდერები აღწევენ. მათ აქვთ ბევრი შესაძლებლობა, რომელიც საჭიროა წარმატების მისაღწევად“, - განაცხადა აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა. მისი თქმით, უკრაინას აქტიური ოპერაციებისთვის შესანიშნავი გეგმა აქვს, მაგრამ დეტალები მხოლოდ პრეზიდენტმა და მისმა ახლო გარემოცვამ იცის. ლოიდ ოსტინმა პირობა დადო, რომ შეერთებული შტატები უკრაინის მხარდაჭერას გააგრძელებს „მიუხედავად იმისა, თუ როდის გადაწყვეტენ შეტევითი ოპერაციების დაწყებას“.

* * *

უკრაინის სამხედრო ძალების კონტრშეტევა შეიძლება ზაფხულში დაიწყოს, - ამის შესახებ უკრაინის პრემიერ-მინისტრმა დენის შმიგალმა ამერიკული გამოცემა The Hill-ისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა. პრემიერის თქმით, კონტრშეტევის დაწყებასთან დაკავშირებით ყველაზე დიდი წნეხი სწორედ უკრაინული საზოგადოებისგან მოდის. ამასთან, მან აღნიშნა, რომ უკრაინა არ განიცდის წნეხს პარტნიორების მხრიდან გამომდინარე იქიდან, რომ ყველა პარტნიორსა და მეგობარს მკაფიოდ ესმის, რომ კონტრშეტევაზე გადასასვლელად საჭიროა 100%-იანი მზადყოფნა და მეტიც. „ჩვენ არაერთხელ დავამტკიცეთ, რომ შეგვიძლია ამის გაკეთება. ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებს ვთხოვთ მეტ სამხედრო პოტენციალს, ისეთს, როგორიც არის ტანკები, თვითმფრინავები, ჯავშანტექნიკა და საბრძოლო მასალები“, - განაცხადა უკრაინის მთავრობის მეთაურმა.

* * *

რა მარტივად კლავენ ეს მხეცები! ეს ვიდეო - უკრაინელი სამხედრო ტყვეთა კვლა, მსოფლიომ უნდა ნახოს. ეს არის ვიდეო რუსეთზე, როგორიც ის არის, რა სახის ქმნილებები არიან ისინი, - ასე გამოეხმაურა უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი სოციალურ ქსელში გავრცელებულ ვიდეოს, სადაც რუსი ოკუპანტები უკრაინელ სამხედრო ტყვეს თავს აჭრიან. ზელენსკის თქმით, ეს არ არის ერთი ეპიზოდი და ერთი შემთხვევა, ეს ვიდეო ასახავს იმას, რაც რუსეთს სურს, ნორმად და ჩვეულად აქციოს - ადამიანის სიცოცხლის განადგურება. უკრაინის პრეზიდენტმა ყველა ლიდერს მოქმედებისკენ მოუწოდა. „ჩვენ არ ვაპირებთ არაფრის დავიწყებას! არც მკვლელების პატიებას ვაპირებთ! ყველაფერს თავისი სამართლებრივი პასუხისმგებლობა მოჰყვება. ტერორის დამარცხება აუცილებელია. ვერავინ ვერ გაიგებს, თუ ლიდერები არ იმოქმედებენ, მოქმედება საჭიროა ახლა. და ჩვენ უკრაინაში ფოკუსირება უნდა მოვახდინოთ ფრონტის ხაზზე იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია. დაგვეხმარეთ იმდენად, რამდენადაც შესაძლებელია, რათა განვდევნოთ ოკუპანტი ჩვენი მიწიდან. მთავარი მიზანი გამარჯვებაა. მთავარი მიზანი უკრაინის გაძლიერებაა გამარჯვებისთვის. ოკუპანტის დამარცხება და მკვლელების სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა. ტრიბუნალი ბოროტი სახელმწიფოსთვის! მუდმივი ხსოვნა ყველა ადამიანის, ვისი სიცოცხლეც რუსულმა ტერორმა იმსხვერპლა! დიდება ყველას, ვინც იბრძვის ამ ბოროტების წინააღმდეგ! დიდება უკრაინას!“, - განაცხადა ვოლოდიმირ ზელენსკიმ.

* * *

დანია უკრაინას მომავალ თვეში CAESAR-ის თვითმავალ ჰაუბიცებს გადასცემს და ზაფხულში Leopard 1-ის ტანკების მიწოდებას დაიწყებს. ამის შესახებ დანიის თავდაცვის მინისტრმა ტროელს ლუნდ პოულსენმა უკრაინის თავდაცვის მინისტრ ოლექსი რეზნიკოვთან ერთობლივ ბრიფინგზე განაცხადა. „ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ CAESAR-ის საარტილერიო სისტემებს უკრაინას მომავალ თვეში მივაწვდით. ახლა უკრაინელი სამხედროები დანიის პოლიგონებზე იმყოფებიან“, - თქვა პოულსენმა. მან ასევე აღნიშნა, რომ ორი თვის წინ დანიამ გერმანიასთან Leopard 1-ის ტანკებზე შეთანხმებას მოაწერა ხელი. „ვიმედოვნებთ, რომ ზაფხულისთვის დავიწყებთ ტანკების მიწოდებას. ექვსთვიან პერსპექტივაში, შესაძლებელი იქნება უკრაინისთვის 100-მდე Leopard 1-ის ტანკის მიწოდება“, - განაცხადა პოულსენმა. მისი თქმით, მომავალში შესაძლებელი იქნება საუბარი Leopard 2-ის ტანკების მიწოდებაზეც, რომლებიც დანიას არც თუ ისე ბევრი ჰყავს. აპრილის დასაწყისში დანიის თავდაცვის სამინისტრომ ნორვეგიასთან ხელი მოაწერა შეთანხმებას უკრაინისთვის 8000 საარტილერიო ჭურვის ერთობლივად გადაცემაზე. სწორედ ამ ჭურვებს იყენებს CAESAR-ის საარტილერიო სისტემა.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

თანაცხოვრების 74 წელი



75-წლიანი თანაცხოვრება აკავშირებთ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ სამოლეთის მკვიდრ გიორგი (ოსმან) გერიძესა და სალომე (სალიე) თურმანიძე-გერიძეს. სავარაუდოდ, ყველაზე უხნესი წყვილია საქართველოში. ნიშანდობლივია ისიც, რომ გიორგი მოხუცებულობის ხანაში მართლმადიდებლობას ეზიარა. აღდგომის დღესასწაულის წინ უხნეს წყვილს ოჯახში ვესტუმრეთ. გიორგი 95 წლისაა, სალომე - მასზე რამდენიმე წლით უმცროსი. საუბარი გიორგიმ დაიწყო.

- მძიმე და გაუსაძლისი ბავშვობა მქონდა. დედა სიზმარივით მახსოვს. მე და უმცროსი ძმა ჯემალი იმ დროს დავობლდით, როცა სოფელსაც უჭირდა და ქვეყანასაც. სოფლის სკოლის მოსწავლეობისას, არც 1937 წლის რეპრესიებს ჩაუვლია ჩემთვის შეუმჩნევლად. სამოლეთი და მოფრინეთი ლამის «სიკვდილის კალოდ« აქციეს. აჭარის მაშინდელი პირველი პირი ზექერია ლორთქიფანიძე ჩვენი სოფლიდან იყო. მის დაპატიმრებას და დახვრეტას 10-მდე ღირსეული სამოლეთელი და მოფრინეთელი მიაყოლეს. საზღვარი არ ჰქონდა, როცა ლვოვში ადოლფ ჰიტლერის ბუნკერი ვნახე. განაღმვით სამუშაოებსაც ვასრულებდით. იყო მსხვერპლიც. სწორედ იქ გავიგე, რომ ჩემი მეზობელი სოფლის მკვიდრი მუხამედ აბუსელიძე ბალტიისპირეთში ნაღმზე აფეთქდა და დაიღუპა. მის ცხედარსაც ვერ მიაკვლიეს. კენიგსბერგში განაღმვით სამუშაოებზე რამდენიმე ჯარისკაცი აფეთქდა, მათ შორის ცინარეთელი ალი ცინარიძე, რომელიც ისე დაშავდა, რომ სახლში დააბრუნეს. ღვთის წყალობით, სამხედრო სამსახურში სამი წელი ისე გავატარე, არ დავშავებულვარ. ახლა ძალიან მაწუხებს, რომ უკრაინაში ომია. ამ ქვეყანას მეორე სამშობლოდ მივიჩნევ. ჯარში უკრაინული სიმღერები და ცეკვაც შევისწავლე, ჰოდა, ამჟამად ხალისიან დღეებში წავიმღერებ ხოლმე. უკრაინელებმა კარგი მეგობრობა იციან. 90-იანი წლების ბოლომდე მიმოწერა მქონდა ჩემი თაობის ჯარისკაცებთან. ერთხელ სამოლეთშიც მსტუმრობდნენ. ახლაც შვილებს, შვილიშვილებს მოვუწოდებ, მათთან ურთიერთობა არ დაკარგონ. შვილიშვილი ვახტანგ თურმანიძე ტელეოპერატორია, უკრაინაში იმყოფებოდა და იქ მიმდინარე პროცესები გადაიღო.

- ოჯახის სიძლიერე შვილმრავლობაა...

- სიმამრის ოჯახში სამი ქალიშვილი, მისი ძმის - მაჰმუდის ოჯახში კი სამი ვაჟი იზრდებოდა. სალომეს ბიძაშვილები ზაქრო, ოთარი და ზურაბი ძმებივით მიყვარს. ზაქრო უკვე გარდაცვლილია, ოთარი პირველი შუახეველია, რომელმაც წინა საუკუნეში ჯერ საკანდიდატო, შემდეგ სადოქტორო დისერტაციები დაიცვა და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი და პროფესორის წოდება მოიპოვა. შუახეველებმა ემერიტუს პროფესორს მოღვაწეობა დაუფასეს და შარშანწინ «საპატიო შუახევლად» აირჩიეს. ცნობილი სტომატოლოგი იყო ზურაბი. იგი თბილისში ცხოვრობს და მშობლიურ კერას პატრონობს. სამივე სიხარულით შეხვდა ჩვენს კერაზე 1955 წელს გულნარას დაბადებას. შემდეგ წუთისოფელს რიგრიგობით ჯუმბერი, ნიგარი, ფატი, ზაირა და მზია მოევლინნენ. ქვემო ქართლის ახლად აღორძინებული ქართული სოფელი ვაზიანი, ჩემი მეზობელი სოფელი წაბლანა, ჭვანის ხეობა, ქედა, ბათუმია ჩემი ქალიშვილების ცხოვრებისა და საქმიანობის არეალი. მამისეულ კერას ჯუმბერი პატრონობს, თავის მეუღლე ფატი (ცანცი) ზოიძე-ბერიძესთან ერთად. უჩამბის საჯარო სკოლის პედაგოგები ახლაც იხსენებდნენ იმ წლებს, როცა ჩემი შვილები მოსწავლეები იყვნენ. სამი ბავშვებსაც კი ერთმანეთთან ურთიერთობა გვიჭირდა. «მავნებელი», «მავნებელი ოჯახის შვილი», დღესაც სულს მიხუთავს ამ სიტყვების გაგონება. ოჯახს - ქალი, ობლად დარჩენილებს მზრუნველობა გვჭირდებოდა. მამამ მეორე ცოლი შეირთო. შაქრო, სულიკო, შოხრეთი, სალიე და ნაზიკო შეემატნენ ოჯახს. დედმამიშვილებში ყველაზე უფროსს მეტი ჯაფა მიწევდა. მამას, დედინაცვალს ყანაშიც ვახლდი და სათიბშიც. მე და ჯემალმა მეორე მსოფლიო ომის მრისხანე წლები საკუთარ ტყავზე ვიწვნიეთ. ჩვენ ტყვიების ზუზუნი არ გვესმოდა, მაგრამ ქანცგაწყვეტამდე შრომა ძალას გვაცლიდა.

- ოჯახის შექმნაზე როდის დაიწყეთ ფიქრი?

- მოფრინეთი და სამოლეთი ერთმანეთის მოსაზღვრე დასახლებებია. სალომეს ძმა არ ჰყავდა. სამნი დანი იყვნენ. ბედისწერამ მათ კარზე მიმიყვანა და არც არაფერი წამიგია. ჩვენი სიყვარული 1948 წელს ოჯახის შექმნით განმტკიცდა. მაშინ 16 წლისა იყო. ის სიყვარული დღემდე არ გამნელებია. ოჯახი ახალშექმნილი მქონდა, სამხედრო სავალდებულო ჯარში რომ გამაწესეს. მოხუცებულ სიმამრსა და სიდედრს პატრონობა სჭირდებოდათ; ახლად შერთულ ცოლს - მოსიყვარულე მეუღლე, მაგრამ სხვა რა გზა მქონდა?! უკრაინაში სამშობლოს დასაცავად გვიწვევდნენ და ომის შედეგად დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენისთვისაც. ჩემს გაკვირვებას განათლებისთვის მაქსიმუმი გააკეთეს.

- თურმანიძეებისა და თქვენი დაახლოების 75-წლიანი პერიოდიდან საუკეთესო მოსაგონრად რა გრჩებათ?

- უბანში, სადაც ახლა ვსახლობ, ლორთქიფანიძეების, გამრეკელიძეების, თურმანიძეებისა და ბერიძეების შთამომავლები ვცხოვრობთ. რამდენიმე სახლიღა დგას. ამ უბანს აჭარის მწერლები მაშინდელი თავკაცის პარმენ ლორიას ხელმძღვანელებით რომ სტუმრობდნენ, სალომეს ბიცოლა თენზოილე თურმანიძემაც უმასპინძლა ღისა გამრეკელიძესთან ერთად. ქართული პოეზიის მეფე გალაკტიონი რომ გარდაიცვალა, მის დასატირებლად ქალბატონი თენზოილე თბილისში ჩავიდა. იქიდან დაბრუნებულს მთელი უჩამბა სიხარულით შეეგება და განზრახვა მოუწონა. იგი ჩვენც გვეხმარებოდა შვილების აღზრდაში.

- პირველი უჩამბელი ხართ, რომელიც 80 წლის ასაკში მართლმადიდებლობას ეზიარა...

- ამ გადაწყვეტილებამდე უფალმა მიმიყვანა, წინაპირობა მრავალი იყო. ჩვენი უბნელია ბოლნისის ეპარქიის მთავარეპისკოპოსი მეუფე ეფრემი. ის და სხალთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსი მეუფე სპირიდონი მღვდელმთავრებად საქართველოს საპატრიარქოს წმინდა სინოდმა 2006 წლის დეკემბერში გამოარჩია. მათი ლოცვა-კურთხევით ჩემი საცხოვრისის მიმდებარე ტერიტორიაზე პირველი დიდი ნათლობა გაიმართა და ჯვარიც აღიმართა. სოფელ წაბლანაშიც, ნათლისმცემლის გორაზე აღიმართა ჯვარი. არქეოლოგ, პროფესორ ამირან კახიძის ხელმძღვანელობით, ნაეკლესიარზე არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარდა, რასაც საყოველთაო ნათლობა მოჰყვა. ამ პროცესსაც მეუფე სპირიდონი და მეუფე ეფრემი წარუძღვნენ. მთა ღომაზე ჯვარის მინდორის ტერიტორიაზე ჯერ ხის, შემდეგ ლითონის ჯვრები აღიმართა და საღვთო დღესასწაული «ჯვარობა» დაწესდა. ჯვრები ასევე აღიმართა ლაკლაკეთში, ცინარეთში, ცინარეთის ციხეზე, ტბეთში. სამი წლის წინ მეუფე სპირიდონს უჩამბის საჯარო სკოლის პედაგოგებთან, საზოგადოების წარმომადგენლებთან შეხვედრა ჰქონდა. მისგან ლოცვა-კურთხევა მიღებულია, რომ უჩამბის საჯარო სკოლის ახლოს (კონცხეთში) ეკლესიის მშენებლობა დაიწყონ. ამ მოვლენებს, მართლმადიდებელი მრევლის მატებას, შვილების, შვილიშვილების მართლმადიდებლობასთან ზიარებას რომ ვაკვირდებოდი, საკუთარ თავს შემოვუძახე, რომ მათ გვერდით დავმდგარიყავი, იმ სარწმუნოებას ვზიარებოდი, რომელც ჩემს წინაპრებს ცეცხლითა და მახვილით წაართვეს. სხვათა შორის, ჩემი სახლის მოსაზღვრედ სამოლეთის კოლმეურნეობის კლუბ-კანტორა იყო. იგი 20 წლის წინათ დაშალეს. მისი საძირკველი წაბლისა და მუხის ხის განძელებით იყო გაწყობილი, მათზე კარგად ჩანდა ის ორნამენტები, რაც მართლმადიდებლური ტაძრისთვისაა დამახასიათებელი. ახლა იმის მოლოდინში ვარ, რომ ნაეკლესიარზე ისევ ეკლესია აიგოს.

- საზოგადოება შრომისმოყვარე, პროფესიონალ ავტომძღოლად გიცნობდათ...

- შუახევის ავტოსატრანსპორტო საწარმოში უჩამბა-შუახევი-ბათუმის სამარშრუტო ავტობუსზე მძღოლად მუშაობა იმ წლებში დავიწყე, როცა დირექტორი ტარიელ ნიჟარაძე იყო. 30 წლის განმავლობაში შეუცვლელად ვიმუშავე. სტუდენტებსაც და მოსწავლეებსაც ვრგებდი, ფულს დახარბებული არ ვყოფილვარ. ახლაც, სოფლის ცენტრში რომ გავალ, ისეთი ადამიანები მიხდიან მადლობას, საერთოდ რომ ვერ ვცნობ, რაც სიმხნევეს მმატებს, საზოგადოებაში ყოფნის სურვილს მიძლიერებს.

- 20 წლის ასაკში ოჯახს მოეკიდეთ. ალბათ ბევრი მოასწარით მას შემდეგ?

- ხუთი ქალიშვილი გავათხოვე, ვაჟი დავაქორწინე. შვილებს მოვუწოდებდი, ოჯახებს დროზე მოჰკიდებოდნენ. დღეს ყველას საკუთარი ნავსაყუდელი აქვს. ასაკში რომ შევედი, შვილებთან ხშირად სტუმრობას ვეღარ ვახერხებ. სალომე მჯობნის - ვაზიანიდან «გასტროლებს» დაიწყებს და ქედაში მზიასთან დაასრულებს. ახლაც იქ იმყოფება.

ქალბატონ სალომეს ტელეფონით შევეხმიანეთ. გიორგისთან თანაცხოვრების 75 წელი მივულოცეთ.

- ადამიანებს ერთმანეთი უნდა გვიყვარდეს. ცხოვრებაში მრავალი განსაცდელი შემხვდა. მიუხედავად ყველაფრისა, შვილებს ვზრდიდი, კოლმეურნეობაში ვმუშაობდი, გიორგი დილით რომ სახლიდან გავიდოდა, გვიან საღამოს მოდიოდა. ერთმანეთს გვერდით ვედექით. შვილები რომ წამოიზარდნენ, ისინიც გვშველოდნენ ოჯახურ საქმეებში. შრომა ჩვენი ოჯახისთვის უდიდესი სიქველე იყო. სკოლაში სანიმუშო მოსწავლე ვიყავი, ამიტომ შვილების დახმარება მათემატიკური განტოლების ამოხსნაში არ მიჭირდა. «ვეფხისტყაოსნის» საზეპიროებსაც ერთად ვიმეორებდით. ახლაც, შვილიშვილები წიგნს ხელში რომ აიღებენ, დახმარების სურვილი მიჩნდება, - გვითხრა სალომემ.

«აჭარა» ბედნიერ წყვილს შეუღლებიდან 75 წლისთავს ულოცავს, სიმხნევესა და ჯანმრთელობას უსურვებს მათ.

დედაენის დღეს მიეძღვნა

აჭარის მთიანეთის მუნიციპალიტეტებში, სკოლებსა და სხვა ორგანიზაციებში 14 აპრილის - დედაენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები მეტწილად წინასწარ გაიმართა, რადგან თარიღი „წითელ პარასკევს“ დაემთხვა

შუახევის ხელოვნებისა და მოსწავლე ახალგაზრდობის სკოლის ინიციატივით, რაიონული ბიბლიოთეკის დარბაზში მხატვრულ-მუსიკალური კომპოზიცია წარმოადგინეს თემაზე: „ფარნავაზიდან - იაკობამდე“.

ღონისძიების მონაწილეებს მიესალმნენ შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე რუსუდან შავაძე, სკოლის დირექტორი ნინო ბერიძე.

მოსწავლეებმა შეასრულეს სიმღერები, წაიკითხეს ლექსები. ხიჭაურის საჯარო სკოლაში დედაენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების მონაწილეებს შუახევის მუნიციპალიტეტისა და რესურსცენტრის ხელმძღვანელები, სკოლის დირექტორი ზემინარ ქათამაძე მიესალმნენ. მოსწავლეებმა წაიკითხეს ლექსები, შეასრულეს სიმღერები.

დედაენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ტაკიძეების საჯარო სკოლაშიც გაიმართა.

გვერდი მოამზადა
ოთარ ცინარიძემ

მართლმადიდებელი მრევლის მატებას, შვილების, შვილიშვილების მართლმადიდებლობასთან ზიარებას რომ ვაკვირდებოდი, საკუთარ თავს შემოვუძახე, რომ მათ გვერდით დავმდგარიყავი, იმ სარწმუნოებას ვზიარებოდი, რომელიც ჩემს წინაპრებს ცეცხლითა და მახვილით წაართვეს. სხვათა შორის, ჩემი სახლის მოსაზღვრედ სამოლეთის კოლმეურნეობის კლუბ-კანტორა იყო. იგი 20 წლის წინათ დაშალეს. მისი საძირკველი წაბლისა და მუხის ხის განძელებით იყო გაწყობილი, მათზე კარგად ჩანდა ის ორნამენტები, რაც მართლმადიდებლური ტაძრისთვისაა დამახასიათებელი

ასეთი შეხვედრები უფრო მასშტაბური გახდება

სკოლა „ევრო-2000“-ში გამართული მეგობრული შეხვედრები მაგიდის ჩოგბურთში 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნას და საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე ხელის მოწერის თარიღს მიეძღვნა. იდეის ავტორი სკოლის სპორტის მასწავლებელი მანანა სახელაშვილია, ორგანიზატორები - დირექცია და ფიზიკური და ესთეტიკური აღზრდის კათედრა.

თამაშებში მონაწილეობდნენ სკოლა „ევრო-2000“-ის, ქედის მუნიციპალიტეტის დანდალოს ი. გოგებაშვილის სახელობის №1 და შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯაბნიძეების საჯარო სკოლების გუნდები. შეჯიბრებაში გამოვლინდნენ როგორც გუნდურ, ასევე პირად პირველობაში გამარჯვებულები. პრიზიორთა დაჯილდოება შეხვედრის ბოლოს გაიმართა, მოსწავლეებს პრიზები და სამახსოვრო საჩუქრები სკოლების დირექტორებმა გადასცეს.

სტუმარ მოსწავლეებს სხვადასხვა გაკვეთილზე დასწრებისა და სკოლა „ევრო-2000“-ის დათვალიერების საშუალება მიეცათ.

საინტერესო და დაძაბული პაექრობის შედეგად პრიზები მოიპოვეს: პირველ ადგილებზე გავიდნენ ლიკა მუკუტაძე და ნოდარ ზოსიძე (შუახევი); მეორე ადგილებს დასჯერდნენ თეკლა ჩხარტიშვილი და ალექსანდრე შეყლაშვილი (ევრო-2000); მესამე საპრიზო ადგილები გაინაწილეს ვერონიკა უზუნკიკოანმა და ილია შერვაშიძემ („ევრო-2000“); მეოთხე ადგილები დაიმსახურეს დიანა ბერიძემ (ქედა) და გიორგი აბუსელიძემ (შუახევი).

იდეის ავტორი და ორგანიზატორები გეგმავენ, რომ ასეთი შეხვედრები მომავალში ტრადიციად გადაიქცეს, უფრო მასშტაბური გახდეს და მასში რაც შეიძლება მეტი სკოლა და მოსწავლე ჩაერთოს.

მარი მიდასელი

კიდევ რომელი არჩევითი საგანი დაემატება სკოლებს?

ნანა აბულაძე 577 20 35 90

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრ გიორგი ამილახვარის განცხადებით, სკოლებში აუცილებლად უნდა გაძლიერდეს მედიაწიგნიერების სწავლება. მისივე თქმით, აღნიშნულისთვის სამინისტრო ყველა ბერკეტს გამოიყენებს.

- თანამედროვე ტექნოლოგიების ეპოქაში, მაშინ, როდესაც ახალგაზრდებს დიდი რაოდენობით ინფორმაციაზე მიუწვდებათ ხელი, აუცილებელია მოზარდებს ჰქონდეთ ინფორმაცია ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა: დეზინფორმაცია, ინტერნეტის უსაფრთხოება, სიტყვის თავისუფლება, მედიის მიუკერძოებლობის სტანდარტები და სხვა. აღნიშნული მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, 2023-2024 სასწავლო წლიდან, სკოლებში, საშუალო საფეხურზე, არჩევითი საგნების ჩამონათვალს მედიაწიგნიერებაც დაემატება, რაც მოსწავლეებში ხელს შეუწყობს ლოგიკური და კრიტიკული აზროვნების, ანალიზის, ფაქტების გადამოწმებისა და სხვა საჭირო უნარების განვითარებას, - განაცხადა გიორგი ამილახვარმა.

გაზეთი «აჭარა» გთავაზობთ ნებისმიერი სახის დიზაინერულ მომსახურებას, დიზაინის თანამედროვე სტილში გადაწყვეტას, რეკლამის გაფორმებას, შერჩევას. დიზაინის დამზადების მსურველებმა მიმართეთ გაზეთ «აჭარის» სარეკლამო სამსახურს. ტელ: 27 48 93.

„პოეტები პოლიტიკაში მხოლოდ მაშინ ვერთვებით, როცა ქვეყანას უჭირს“

მე-3 გვერდიდან

იყოს სასამართლო რეფორმა და დამოუკიდებელი მართლმსაჯულების სისტემის შექმნა, რასაც თან უნდა ახლდეს მრავალპარტიული მმართველობა. იმ პირობებში, როცა ერთ ხელშია თავმოყრილი სასამართლო, პროკურატურა, შსს, სუსი, პარლამენტი, პრეზიდენტისა და სახალხო დამცველის ინსტიტუტები და საზოგადოებრივი მაუწყებელი, ძნელია ხელისუფლების შტოებმა ურთიერთკონტროლის ფუნქცია შეასრულოს. კოალიციური, მრავალპარტიული მმართველობა ამ კორუფციული ჭაობიდან და ეკონომიკური გამყინვარებიდან ერთადერთ გამოსავლად მესახება. რაც შეეხება ოპოზიციას, წინა არჩევნებში ჩვენ მოვახერხეთ გვერდზე გადაგვედო ვიწროპარტიული ინტერესები, განსხვავებული შეხედულებები, ურთიერთსიმპათიების ნაკლებობა და ცვლილებებისთვის გავერთიანებულიყავით. ასე რომ, თანამშრომლობის პრეცედენტი და გამოცდილება უკვე გვაქვს, ვფიქრობ, რომ მომდევნო არჩევნებში არ გაგვიჭირდება ერთობა.

- საუბარი არ წყდება „მესამე ძალაზე“, რომელიც კონკურენციას გაუწევს მმართველ პარტიას და „ნაცმოძრაობას“. ამ მხრივ ტრიოს („დროა“, „სტრატეგია აღმაშენებელი“ და „გირჩი - მეტი თავისუფლება“) აქვს შანსი, გახდეს რეალური მესამე ძალა?

- ამ სამეულის გაერთიანება ცალსახად პოზიტიური მოვლენაა, რადგან ოცნება „დაყავი და იბატონეს“ პრინციპით ახერხებს მიტაცებული ხელისუფლების შენარჩუნებას. ამ არჩევნებში გადამწყვეტ სიტყვას იტყვის ეგრეთ წოდებული „შუაშისტი“ ამომრჩეველი. მნიშვნელოვანი იქნება თითოეული ასეთი ხმის წამოღება ოპოზიციურ კალათაში. ეს კი მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ასეთი ადამიანები დაინახავენ ძალას და ექნებათ განცდა, რომ მათი ხმა არ დაიკარგება 5%-იანი ბარიერის მიღმა. ამ რისკს მხოლოდ ოპოზიციური პარტიების გამსხვილება შეამცირებს.

- საგარეო საკითხსაც შევეხოთ: რა გავლენა ექნება რუსეთ-უკრაინის ომის შედეგებს ევროპაზე და, მათ შორის, საქართველოზე?

- რუსეთ-უკრაინის ომმა უკვე იქონია გარკვეული შედეგი ჩვენზე. მან ერთგვარი კატალიზატორის ფუნქცია შეასრულა ჩვენი ევროინტეგრაციის საქმეში და როგორც დასავლურ ოჯახში გაერთიანებისკენ ხალხის შეუქცევადი სურვილის, ასევე, ხელისუფლების რუსული კურსის ლუსტრაცია მოახდინა. ბოლო ორას წელზე მეტია, ჩვენი სუვერენიტეტისა და სახელმწიფოებრივი განვითარების მთავარი მტერი რუსული იმპერიალიზმია. შესაბამისად, პუტინის დამარცხება და პოლიტიკური კრახი პირდაპირ გვიხსნის გზას, აღვადგინოთ ტერიტორიული მთლიანობა და შეუფერხებლად ვიაროთ დასავლური ინტეგრაციის გზით.

- დაბოლოს, რა სურს ახლა ყველაზე მეტად პოეტ გენრი დოლიძეს? რას ეტყვის თანაქალაქელებს, თავის სამშობლოს?

- ჩემი ყველაზე დიდი სურვილია, საქართველოში პოლიტიკური ცვლილებები მოხდეს რაც შეიძლება მალე და ხელისუფლება არ გადაიბაროს მხოლოდ ერთმა ძალამ. მრავალპარტიული დემოკრატია, განაწილებული პასუხისმგებლობა და დაბალანსებული ძალაუფლება ავტომატურად დაგვაბრუნებს იმ გზაზე, რომელსაც ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობით ავცდით. პოეტები პოლიტიკაში მხოლოდ მაშინ ვერთვებით, როცა ქვეყანას უჭირს. ეს არ არის ჩემი ბუნებრივი მდგომარეობა, მინდა, მალე დავუბრუნდე ხელოვნებას და დღევანდელივით იმის შიში არ მქონდეს, რომ ერთ დღეს რუსეთის ფედერაციაში გავიღვიძებთ.

„ქართული ენა ქართველთა იდენტობის უპირველესი ნიშანია“

მე-4 გვერდიდან

- ქართულ მწერლობაში დიალექტების შემოტანა ენას ამდიდრებდა და აძლიერებდა. აჭარული დიალექტის დამკვიდრებას რა მნიშვნელობას ანიჭებთ?

- აჭარული დიალექტი ქართული ენის ერთ-ერთი ქვესისტემაა, კარგად გადარჩენილი და ჩვენამდე მოღწეული, თუმცა დღეს, როგორც სხვა დიალექტები, საფრთხის წინაშე მყოფი. ბუნებრივია, ჩვენი დიალექტიც ზომიერად გამოიყენება მხატვრული ნაწარმოების ენაში. დიალექტიზმების მოჭარბებული და არამიზნობრივი გამოყენება მხატვრულ ნაწარმოებში, ვფიქრობთ, არასწორია. ყველა დიალექტი სალიტერატურო ენის მთავარი მასაზრდოებელია.

- რას იტყვით ბარბარიზმების დამკვიდრებაზე, რომლებსაც ქართული ენა ვერ ჰგუობს?

- ინფორმაციულ ეპოქაში ვცხოვრობთ. დედამიწა თითქოს დაპატარავდა, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ინფორმაცია სწრაფად ვრცელდება... ეს ყველაფერი აისახება ენაში. ბუნებრივია, ახალ ინფორმაციას ახალი სიტყვები შემოჰყვება ყოველდღიურ ყოფაში, სხვაგვარად ენა ვერ შეასრულებს თავის უპირველეს ფუნქციას - ასახოს ცხოვრება, შექმნას სამყაროს ხატი. ამ უკონტროლო პროცესში ენაში შემოდის სიტყვები, რომელთა ნაწილს დრო გამოცდის და დამკვიდრდება, როგორც ნასესხობა, ნაწილი კი დავიწყებას მიეცემა. ასეთი ბევრი ლექსიკური ერთეული იქნება. ნურავინ იფიქრებს, რომ თუ დღეს ვინმემ რომელიმე უცხოური სიტყვა გამოიყენა ზეპირ თუ წერით მეტყველებაში, ეს სიტყვა ენამ ისესხა და მის კუთვნილებად იქცა. ასე მარტივად არ არის საქმე. სიტყვის შემოსვლიდან/გამოყენებიდან სესხებამდე გრძელი გზაა გასავლელი. ჩვენ ვებრძვით ბარბარიზმებს, ვებრძვით იმიტომ, რომ გვსურს დავიცვათ ქართული ენის სიწმინდე და ასე გადავცეთ იგი მომავალ თაობას. ეს ჩვენი თაობის ვალია, ერთი მხრივ, მეორე მხრივ კი ჩვენი თაობის კულტურის მთავარი მახასიათებელი.

- ამ ეტაპზე ქართული ენის დაცვა ვისი ვალია?

- ქართული ენა ქართველთა იდენტობის უპირველესი ნიშანია. გამომდინარე აქედან, ქართული ენის დაცვა ყველას ვალია, ვისაც თავი ქართველად მიაჩნია. თუ მთელმა ერმა არ მოუარა თავის „უპირველეს საუნჯეს“, ცალკეული მცდელობები სასურველ შედეგს ვერ გამოიღებს...

- დღეს ენა განსაკუთრებით მახინჯდება, ამაში დიდ როლს თამაშობენ პოლიტიკოსებიც, მაღალჩინოსნებიც...

- ეს ძალიან ძნელი და ამავე დროს მუდმივი პრობლემაა. ყველა თაობა ჩივის, რომ ენას უჭირს, რომ საჭიროა ზრუნვა, უფრო მეტია გასაკეთებელი, ვიდრე კეთდება. სხვაგვარად, არ გვაკმაყოფილებს არსებული ვითარება. ეს კარგია, ეს იმის ნიშანია, რომ ვფიქრობთ არსებულ პრობლემებზე. გამოსავალს რაში ვხედავ? პრობლემა, უპირველესად, ჩვენი წიგნიერების დაბალ დონეშია. მოდი, ვთქვათ პირდაპირ, ცუდად იმიტომ ვიცით ჩვენი ენა, რომ ცოტას, ან საერთოდ არ ვკითხულობთ, განსაკუთრებით, ქართულ კლასიკურ მემკვიდრეობას, ცუდად ვასწავლით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა თუ უმაღლეს სასწავლებლებში ქართულ ენას, ქართული მეტყველების კულტურას. ამ გაჭირვებიდან ერთ-ერთი გამოსავალია (და არა ერთადერთი), სრულად აღდგეს სკოლებში ქართული ენის სწავლება, უმაღლეს სასწავლებლებში კი „ქართული ენის პრაქტიკული კურსი“. ამასთან ვეცადოთ, ყველამ „ქართულად ხსნილად ვიუბნოთ“.

მთავარი რედაქტორი მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2[ა]
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 12/04/23, 20 [15] სთ.

დირექტორი მამუკა ბერიძე

დიზაინერი, რომლის ხელნაკეთი სათამაშოები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაშია მიმოფანტული

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

*დიზაინერი **ქეთევან ტიკარაძე** ბათუმში დაიბადა, უმაღლესი განათლებაც ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიღო ინფორმატიკა-გამოთვლითი ტექნიკის სპეციალობით. ქეთევანს 2 შვილი და შვილიშვილი ჰყავს. პროფესიის მიუხედავად, მაინც იმ საქმით დაკავდა, რაც ყველაზე მეტად სიამოვნებს - ანტიალერგიული ფერადი ძაფებით თოჯინების ქსოვა დაიწყო. მისმა ნამუშევრებმა იმდენად დიდი მოწონება დაიმსახურა, რომ გაყიდვაშიც ჩაუშვა. ხელნაკეთი სათამაშოებით განსაკუთრებით ტურისტები ინტერესდებიან და ისინი უკვე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაშია მიმოფანტული. აღსანიშნავია ისიც, რომ თოჯინები უმაღლესი ხარისხით გამოირჩევა და თითოეული დეტალი ხელითაა გამოყვანილი. რა თქმა უნდა, დავინტერესდით ამ თოჯინების შექმნის ისტორიით და ქეთევან ტიკარაძეს გავესაუბრეთ.*

- ქალბატონო ქეთევან, როდის დაიწყეთ ქსოვა?

- როგორც მშობლები მეუბნებიან, ძალიან პატარა ვყოფილვარ - 3 წლის, როცა ქსოვით და კერვით დავინტერესებულვარ. ისინი, რატომღაც, მიშლიდნენ ამ საქმიანობას... ალბათ, იმიტომ, უმაღლესი განათლება რომ მიმეღო. ესეც მივიღე, მაგრამ ჩემი პროფესიით ერთი დღეც არ მომუშავია. საბოლოოდ მაინც ის საქმე ავირჩიე, რაც ყველაზე მეტად მიყვარდა. ჩემი შვილი სტუდიაში რომ დადიოდა, ფორმებს ვუკერავდი, რომლებიც ძალიან დიდი მოწონებით სარგებლობდა. ადრე სადედოფლო კაბებსაც ვკერავდი და სალონიც მქონდა. ბავშვობის ეს ოცნებაც ავიხდინე.

- როდის დაიწყეთ თოჯინების დამზადება და რატომ?

- სულით ხელოვანი ადამიანი ვარ. რამდენიმე წლის წინ, როცა კორონავირუსი დამიდასტურდა და გარეთ ვერ გავდიოდი, ჩემს სკივრს მივაკითხე, სადაც ძაფების დიდი არჩევანი მქონდა და გადავწყვიტე, ერთი თოჯინა მომექსოვა. მერე რამდენიმე მოვქსოვე და საჩუქრად მეგობრებს, ახლობლებს დავურიგე. ბათუმში ქსოვილების მაღაზია მაქვს და იქაც დავდე გასაყიდად. ძალიან დიდი დაინტერესება გამოიწვია, განსაკუთრებით - ტურისტებში.

- რა იყო თქვენი შთაგონების წყარო?

- შთაგონების წყარო არ მქონია, მინდოდა, უბრალოდ, დრო მომეკლა ამ საქმით და სხვა რაღაცაზე გადავრთულიყავი. ძაფები მქონდა და გადავწყვიტე შვილიშვილისთვის შემექმნა თოჯინა. საკმაოდ ლამაზი გამომივიდა.

- თოჯინების ბრენდს „იაია“ დაარქვით, რატომ?

- „იაიას“ ისტორია ჩემს ძმისშვილს უკავშირდება: ძალიან პატარა იყო, როცა ჩემი მეორე სახელი - მაია ვერ გამოთქვა და იაია დამიძახა. მას შემდეგ ოჯახში და ახლობლებში ყველა იაიას მეძახის, მათ შორის, ჩემი შვილიშვილიც. შემდეგ, როგორც გავიგეთ, ბერძნულად „იაია“ ბებიას ნიშნავს და გამიჩნდა იდეა, რომ ბებიის თოჯინების ბრენდი „იაია“ ყოფილიყო. მალე ამ სახელით ოფიციალური ბრენდის შექმნასაც ვაპირებთ და იმედი მაქვს, იგი ცნობილი გახდება.

- შეკვეთით თუ მუშაობთ და რა ფასებში იყიდება თოჯინები?

- კი. ძირითადად ცხოველებს გვიკვეთავენ. ყველას აქვს ინდივიდუალური ფასი, ნამუშევრის სირთულიდან გამომდინარე. ასევე მნიშვნელობა აქვს იმასაც, რამდენად დიდია მოცულობით. იწყება 50 ლარიდან და ზემოთ. ყველაზე დიდი - კურდღელი, რომელიც ერთი მეტრი იყო, 180 ლარად გაიყიდა და გერმანიაში „წავიდა“.

- რა არის თქვენთვის პრიორიტეტული?

- რა თქმა უნდა ხარისხი. ნამუშევარი უნდა იყოს ძალიან მაღალ დონეზე შესრულებული და თვითონ პროდუქცია, რითიცაა შექმნილი თოჯინა, უმაღლესი ხარისხის. მაქსიმალურად ვცდილობ, თოჯინა იყოს ეკოლოგიურად სუფთა ძაფისგან დამზადებული, რადგან ის ხელში ბავშვმა უნდა დაიჭიროს, შეიძლება, საწოლშიც ჩაიწვინოს... ამას წინათ მაღაზიაში უცხოელი მომხმარებელი შემოვიდა და აღნიშნა, რომ ასეთ თოჯინებს გაცილებით მეტი ფასი უნდა ჰქონდეს, რადგან ხელითაა შექმნილი და მასში დიდი შრომაა ჩადებული, ამიტომ მაქსიმალურად ვცდილობთ, რომ იყოს ხარისხიანი, არ მოძვრეს არც თვალი, არც ხელი. ყველაფერი ძალიან მყარად უნდა იყოს დამაგრებული და, რა თქმა უნდა, ვიზუალიც უნდა ჰქონდეს საყვარელი. გამოგიტყდებით და, ორი ერთნაირის შექმნა ფიზიკურად ვერ მოვახერხე. ძალიან ვეცადე, მაგრამ არ გამოდის. ყველას თავისი ინდივიდუალური ხასიათი და პატარა ისტორია აქვს.

- როგორია დამზადების პროცესი და ტექნოლოგია?

- ვინც მიცნობს, ყველამ იცის, რომ ჩემი ხელები არ ჩერდება (იცინის). როცა ყავას მივირთმევთ და ვერთობით, მაშინაც კი ვქსოვ. ყველგან ძაფებია მიმოფანტული. ასე კეთდება და იკინძება ხან თავი, ხან ფეხი... ვმუშაობ როგორც ჩხირებით, ისე ყაისნაღითაც. აბსოლუტურად ყველა დეტალი (თვალის გარდა) ხელითაა გამოყვანილი. სათამაშოს შიგნით ანტიალერგიული სინტიფონი იდება. ყველაფერი ცალ-ცალკე უნდა მოიქსოვოს: ფეხები, ხელები, კაბა, ჟაკეტი, ის აქსესუარი, რაც თოჯინას უჭირავს ან უკეთია, იქნება ეს ჩანთა, ქუდი, ბაბთა თუ სხვა, ყველა დეტალი სათითაოდ იქსოვება. კაბის შიგნით თოჯინას აუცილებლად საცვალი ან შორტი უნდა ეცვას. ძაფები არის 100%-ით ნატურალური ბამბის. თითო თოჯინის დამზადებას მაქსიმუმ 4-5 დღე სჭირდება, თუმცა ძაფის სისქესაც გაჰნია. ერთმეტრიანი სათამაშო 3 დღეში მოვქსოვე, რადგან მსხვილი ძაფი გამოვიყენე და შედარებით ადვილი მოსაქსოვი იყო. სათამაშო, დასვრის შემთხვევაში, ჩვეულებრივად ირეცხება, სარეცხ მანქანაშიც კი - არც ფერს დაკარგავს და არც დაიკუჭება.

- უცხოელი მომხმარებლები ხშირად გსტუმრობენ?

- დიახ, ძირითადად ისინი ყიდულობენ თოჯინებს, რადგან ხვდებიან, როგორი შრომა დევს თითოეულ მათგანში. როცა მაღაზიაში შემოდიან, პირველი, რასაც კითხულობენ - ეს ვინ გააკეთაო... ვეუბნები, რომ დამზადებულია საქართველოში, კონკრეტულად კი მე გავაკეთე-მეთქი. სურვილი უჩნდებათ, მოვიდნენ და ჩამეხუტონ, იმდენად ღირებულია ეს მათთვის. როცა შეიძენენ, ვეკითხები, სად მიდის თოჯინა? შვედეთი, გერმანია, ამერიკა, უკრაინა, რუსეთი... სად არ „წასულა“ ჩვენი სათამაშოები.

- ბათუმში საკმაოდ კარგი ხარისხის ქსოვილების მაღაზია გაქვთ...

- იქიდან გამომდინარე, რომ მთელი ცხოვრება ვკერავ და დიზაინერი ვარ, ვიცი, რომ ხარისხიანი ქსოვილის შეძენა ჩვენს ქალაქში პრობლემაა, ამიტომ გადავწყვიტე მაღაზიის გახსნა, რომელშიც კარგი ხარისხის ქსოვილები მექნებოდა. ახლა ბევრი მომხმარებელი მყავს. თანამედროვეობასაც ავუწყვე ფეხი, ვცდილობ, ახალგაზრდა ქალბატონებმა ჩვენთან ისეთივე ქსოვილი შეიძინონ, როგორიც სოციალურ ქსელში ნახეს. ამ ყველაფერმა ნელ-ნელა განვითარება ჰპოვა და გავფართოვდით. უკვე 20 წელია, ვარსებობთ.

- რა გეგმები გაქვთ?

- ჯერ, რა თქმა უნდა, სურვილი მაქვს, სოციალურ ქსელში მოვიხვეჭოთ სახელი, შემდეგ - ცალკე გამოვყოთ და გავაკეთოთ ჩვენი პატარა ბრენდი, სადაც იქნება არა მხოლოდ თოჯინები, არამედ საბავშვო ნივთები: ქუდი, ფაჩუჩები, ტანსაცმელი, რომლებიც გათვლილი იქნება მხოლოდ წლამდე ასაკის ბავშვებზე - იქნება ხელით ნაქსოვი და უმაღლესი ხარისხის.

იცნობდეთ მარიამ ცეცხლაძეს

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ქობულეთის ილია ჭავჭავაძის სახელობის მეორე საჯარო სკოლის მერვეკლასელი მარიამ ცეცხლაძე ჭადრაკში აჭარის მრავალგზის ჩემპიონია სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში, არის საქართველოს ჩემპიონატის მრავალგზის პრიზიორი, ევროპის ონლაინ სასკოლო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი, ევროპის კადეტთა ჩემპიონატის გამარჯვებული (მეორე-მეოთხე ადგილი)

დიდ წარმატებას მიაღწია მარიამმა ახლახან თბილისში ჩატარებულ საქართველოს ჩემპიონატზე სწრაფ და ელვისებურ ჭადრაკში, სადაც ერთბაშად ოთხი სხვადასხვა სინჯის მედალი მოიპოვა. 14 წლამდე გოგონათა შორის საქართველოს ჩემპიონი გახდა ელვისებურ და სწრაფ ჭადრაკში. 16 წლამდე გოგონათა შორის სწრაფ ჭადრაკში მეორე ადგილზე გავიდა, ხოლო ელვისებურში მესამე ადგილი დაისაკუთრა (მწვრთნელი - დავით მაღალაშვილი).

მარიამ ცეცხლაძე 8 წლის ასაკში ბაბუამ, დედის მამა იოსებ მჟავანაძემ მიიყვანა ჭადრაკზე. ოჯახში დედაც - ირინე და მისი ძმა, მარიამის ბიძა, ირაკლი ჭადრაკს საკმაოდ კარგად თამაშობდნენ. გარკვეული პერიოდის შემდეგ თავი დაანებეს, მაგრამ ჭადრაკის სიყვარული დღემდე არ განელებიათ. ბაბუას ძალიან უნდოდა, მარიამსაც შეესწავლა ჭადრაკი და ნიჭიერი გოგონა ქობულეთელ მწვრთნელ ბაგრატ მჟავანაძეს ჩააბარა, რომელმაც დიდი გავლენა იქონია გოგონაზე - ძალიან შეაყვარა მარიამს ჭადრაკი და ორი წლის განმავლობაში ამისთვის ყველაფერი გააკეთა.

მარიამთან პირველი წარმატება ჭადრაკის დაწყებიდან ექვს თვეში მოვიდა - მან საქართველოს ჩემპიონატზე 8 წლამდე გოგონათა შორის მესამე ადგილი და ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა, რამაც უფრო დიდი მიზნებისკენ უბიძგა. ამ წარმატების შემდეგ საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელ ლეონიდ ნეურონოვთან დაიწყო მეცადინეობა, რომელსაც ასევე ძალიან ემადლიერება.

ორი წლის შემდეგ მარიამ ცეცხლაძემ გადაწყვიტა, კიდევ უფრო მაღალ დონეზე მიეღო საჭადრაკო განათლება და გადავიდა საერთაშორისო დიდოსტატთან, გორელ დავით მაღალაშვილთან, რომელთანაც უკვე მესამე წელია, მეცადინეობს. ამას გარდა, სწავლობს საჭადრაკო ონლაინსკოლაში „ოლიმპიური ჩემპიონი“ (ხელმძღვანელი - ილია კაკუშაძე), რომელიც ამჟამად ამერიკაშია და ქართველი მოჭადრაკე ბავშვებისთვის ბევრ სასიკეთო საქმეს აკეთებს. ამ სკოლაში მეექვსე თვეა მეცადინეობს და ამბობს, რომ ცოდნის გაღრმავებაში ძალიან ეხმარება.

მარიამისთვის, როგორც თავად ამბობს, ჭადრაკი მარტო სპორტი არ არის, იგი მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა. მას უთმობს ძალიან დიდ დროსა და ენერგიას, არაფერს იშურებს, რომ რაც შეიძლება მეტი ცოდნა მიიღოს და სამომავლოდ კარგი მოჭადრაკე გახდეს. სურს, დიდ წარმატებებს მიაღწიოს და საქართველომ მისით იამაყოს. ამ გონიერ გოგონას ჭადრაკში არაერთი კერპი ჰყავს, რომელთა შორის არიან მოქმედი მსოფლიო ჩემპიონები ჭადრაკში. მათ თამაშებს მუდამ თვალს ადევნებს. რა თქმა უნდა, მისთვის მისაბაძია ქართველი მოჭადრაკე ქალები - ნონა და მაია, ასევე, საქართველოს ამჟამინდელი ეროვნული ნაკრების წევრები, რომელთა პარტიებსაც მუდმივად არჩევს. მისი ყველაზე დიდი ოცნება, სწორედ ეროვნულ ნაკრებში მოხვედრა და მსოფლიო არენაზე საქართველოს ღირსების დაცვაა.

როგორც აღვნიშნეთ, ამჟამად მისი მწვრთნელი დავით მაღალაშვილია, რომელთანაც ონლაინმეცადინეობაც უწევს, როცა გორში ჩასვლას ვერ ახერხებს. როგორც ამბობს, ამ ბოლოს თავისუფალი დრო თითქმის არ რჩება, რადგან ჭადრაკს სერიოზულად მოჰკიდა ხელი და მას დიდ დროს უთმობს, თუმცა ძალიან უყვარს ფილმების ყურება, თავისთავად, სკოლაში სწავლაც, სადაც ცდილობს, ტურნირებში მონაწილეობის გამო, პროგრამას არ ჩამორჩეს. სკოლა - მასწავლებლები, დამრიგებელი, დირექტორი ძალიან უწყობენ ხელს. რა თქმა უნდა, გულშემატკივრობენ თანაკლასელები, რომლებიც მის ყოველ წარმატებას კლასში საზეიმოდ აღნიშნავენ.

ახლა მარიამ ცეცხლაძე ისევ საქართველოს ჩემპიონატისთვის ემზადება (კლასიკური დროის კონტროლით) 16 წლამდე გოგონთა შორის, რომლის შემდეგ, საქართველოს მოჭადრაკეებთან ერთად, ალბანეთში ევროპის სასკოლო ჩემპიონატზე მიემგზავრება (აქ კიდევ ორი მოჭადრაკე მიემგზავრება აჭარიდან - ლულუ დიასამიძე და კესარია მგელაძე). მარიამი მონაწილეობას მიიღებს ასევე მსოფლიო ჩემპიონატში კადეტთა შორის სწრაფ ჭადრაკში, რომელსაც ბათუმი 6-12 ივნისს უმასპინძლებს. „სახლში“ გამარჯვებაზე კი ყველა ქართველი მოჭადრაკე ოცნებობს.

მარიამმა მთხოვა, ჩვენი გაზეთით მადლობა გადაგვეხადა აჭარის ჭადრაკის ფედერაციისთვის, რომლის პრეზიდენტი სალომე მელია აჭარის მოჭადრაკეებს ყოველთვის გვერდით უდგას და მათ წარმატებაში დიდი წვლილიც მიუძღვის. აქვე სითბოთი მოიგონა საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე, აწ განსვენებული ქეთევან მუხაშარია, რომელიც ასევე ბევრს აკეთებდა მოჭადრაკეებისთვის, როცა მას აჭარის ჭადრაკის ფედერაციის გენერალური მდივნის პოსტი ეკავა და აჭარაში ჭადრაკის განვითარების საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის.

მარიამმა ისიც გვითხრა, რომ დედა ექიმია და უნდა ბედი ჭადრაკშიც სცადოს.

წარმატებები ვუსურვოთ მარიამ ცეცხლაძეს - ძალიან პერსპექტიულ გოგონას!